# სახალხო გაზეთი

№ 204 — სამშაბათი, 11 იანვარი, 1911 წ. წელიწადი მეორე. — № 204

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ., უკანასკნელზე—10 კაპ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კაპ., უკან—10 კაპ. ხამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მეტი ეღირება.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და ე. მეტცლ და ამხ—ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში—მორსკაია 11, ვარშავაში—მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში—ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთის“ რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3—მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება, დაუბეჭდავი მცირე წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება, ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქციის ადრესი: ტფილისი დიდი ვანქის ქ. N 12. ფოსტის ადრესი: Тифлисъ, Большья Ванкская ул., N 12, Семену Пашалишвили.

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური. დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.



პაპიროსები

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| გალეა № 1 25 ც. 38 კაპ. | აიდა 25 ც. 25 კ. და 10 ც. 10 კ. | იდეალი 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ. | რენომე 10 ც. 5 კაპ. | შირაქი 10 ც. 8 კაპ | ზეფირ 20 ც. 5 კაპ. |
| არისტოკრატიული 25 ც. 30 კ. | ვენერა 25 ც. 15 კ. და 10 კ. 6 კ. | გალლეა 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ. | აფიცერთა 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ. | როსკოში 25 ც. 10 კ., 15 ც. 6 კ. და 10 ც. 4 კ. | ეხო 20 ც. 5 კაპ. |
| ხან-კეფი 25 ც. 30 კაპ. | სამაგალითო 25 ც. 25 კ. და 10 ც. 10 კ. | ფურორი 25 ც. 15 კ. და 10 ც. 6 კ. | მინიონი 25 ც. 15 კ და 10 ც. 6 კ. | ბორბა 20 ცალი 5 კ. | სვეტ 20 ც. 6 კაპ. |

თამბაქოს ФАБР МАРКА ქარხანა ამხ. „კომეტა“ 1910 Т-ВА ბირ. „КОМЕТА“ ჩევთ ТИФЛИСЪ (0—304—7)

ქაღალდი 1 მან. 36 კაპ. 10 მან. ვიდრე



## მიიღება ხელის მოწერა 1911 წლისთვის

წელიწადი მეორე — **სახალხო გაზეთი** — წელიწადი მეორე

ყოველდღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო

მომავალ 1911 წელს გაზეთი გამოვა იმავე პროგრამით, როგორც წარსულს წელს გამოდიოდა.

ყოველ-დღიურ გამოცემის გარდა გაზეთს ექნება კვირეული

### სურათებიანი დამატება

დამატება გამოვა კვირაობით.

გაზეთის ფასი დამატებიანად: წლით, როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ ღირს 8 მან. 50 კ., ნახევარი წლით—4 მან. 80 კაპ., ერთი თვით—80 კაპ.

გაზეთის ფასი ტფილისში და მის გარეთ აღნიშნულია პირველ სტრიქონზე და საზღვარ გარეთისა—მეორე სტრიქონზე:

| წლ. | 11 თვ. | 10 თვ. | 9 თვ. | 8 თვ. | 7 თვ. | 6 თვ. | 5 თვ. | 4 თვ. | 3 თვ. | 2 თვ. | 1 თვ. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| 8. 50. | 8. — | 7. 50. | 6. 90. | 6. 20. | 5. 50 | 4. 80. | 4. — | 3. 20. | 2. 40. | 1. 60. | — 80. |
| 12. 8. | 11. — | 10. — | 9. — | 8. — | 7. — | 6. — | 5. — | 4. 50. | 3. 50. | 2. 50. | 1. 25. |

ცალკე ნომერი ყველგან ერთი შაური — დამატებიანი ნომერი (კვირისა) 7 კაპეიკი.

ადრესის გამოსაცვლელი ფასი 40 კაპ.

ხელის მოწერა მიიღება „სახალხო გაზეთის“ კანტორაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში ი. ავალიშვილთან.

წლიურ ხელის მომწერს გაზეთის ფასი შეუძლიან გადაიხადოს ნაწილ-ნაწილადაც: ხელის მოწერის დროს 3 მან., 1 მარტისთვის 2 მან. 1 მაისისთვის 2 მან. და 1 ივლისისთვის 1 მან. 50

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ ყოველ თვის პირველ რიცხვიდან და არა ნაკლებ ერთი თვისა.

„სახალხო გაზეთის“ კანტორაში ხელის მოწერა მიიღება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა დილის 9 საათიდან 3 საათამდე და ნაშუადღევის 5 საათიდან 7 საათამ. თვის ბოლოს კანტორა კვირა-უქმე დღეებშიაც იქნება ღია. ქალაქ გარედ ხელის მომწერთ ფული უნდა გამოგზავნონ ამ ადრესით:

**Тифлисъ, редакція „Сахалхо газети“.**

დამდეგ 1911 წლის განმავლობაში „სახალხო გაზეთის“ დამოუკიდებლივ განზრახულია გამოიცეს რამდენიმე კრებული სამეცნიერო, ფილოსოფიური და სამხატვრო შინაარსისა. თითო წიგნი იქნება 300—500 გვერდამდე. გამომცემლებთან შეთანხმებით „სახალხო გაზეთის“ წლიურ ხელის მომწერლებს თითო წიგნი დაეთმობათ 50 კაპ., სხვებისთვის კი ეღირება არა ნაკლებ თითო მანეთისა.



ოლღა თევდორის ასული მარდალეიშვილისა, მამა ანდრო და ძმა ლუკა მარდალეიშვილები, და ნათლია ლუკა გიორგის ძე კობაიძე გულითადის მწუხარებით აუწყებენ ხან-მოკლე ავადმყოფობის შემდეგ

### თევდორე ანდრიას ძე მარდალეიშვილის

გარდაცვალებას. პანაშვიდი ყოველ საღამოს. დაკრძალვის დღე ცალკე იქნება გამოცხადებული. ბინა: პირველი ავჭალის ქ. № 143. (1—28—1)



= ზუბალაშვილების სახალხო სახლი =

ოთხშაბათს, 12 იანვარს,

ქართული სცენის მოყვარეთა მიერ და ქ-ნი ა. ჩიქვაძის მონაწილეობით წარმოდგენილი იქნება პირველად ახალი პიესა ქართულ სცენაზე

### შერლოკ ჰოლმსი

პიესა 4 მოქმ., თარგმ. ჯუღელისა.

მონაწილეობენ: ქ-ნნი: ბაზერბურიძე, ჩიქვაძე, ციმაკურიძე, ბ-ნნი: ანაშვილი, ბადრიძე, ინაშვილი, ქულაშვილი, მელიქოვი, მეტრეველი, რატიშვილი, თაზიშვილი, ჭანკვეტაძე, ჭიაურელი, ზიბელი და შანშიაშვილი.

დასაწყისი საღამოს 8 საათზე. ადმინისტრატორი ა. ბადრიძე.

ბილეთები იყიდება კასაში 10—2 ს-მდე და საღამოს 6—8 ს-მდე.



ქართველ ქალთა ამხანაგობის

### სამკერვალოში

მიიღებენ შესაკერად კაბებს ქალებისას და ბავშვებისას. იქვე იღებენ ყოველგვარ საკერავს „გლადით“ და „მეტკებს“ ძალიან იაფად. ჭრის კონკები სადაც დგება, გაბაანთ ქუჩა N 3. (10—28—1)



### ვაგზლის კერძო სამკურნალო

გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.

ვოგზლის ქუჩა, № 8, ს. ენფიანჯიანცისა, ტელეფონი № 695.

გ. შაყულაძე—ყოველ დღე 9—11 ს. კბილის ავადმყოფ.

ა. მიქელაძე—ყოველ დღე, შინაგ. და ბავშვ. ავად. 1—2 ს.

ნ. დიასამიძე—ყოვ. დღე, 11½—12½ ს. სიფილისი, კანისა და ვენერ.

მ. მელიქიშვილი—ყოველ დღე, ქირურგ. და ქალებისა, 1—2. ს.

ა. პაპავა—ყურ., ყელ., ცხვირ. და ყოველ დღე 12—1 ს.

ტერ-ნიკოღოსოვი დ. გ.—შინაგ. და ბავშვ. ოთხშაბათობით და კვირობ. 11½ 12½ საათ.

ე. გ. ფედოროვი—ყოველ დღე, ოთხშ და კვირის გარდა, 11—12 ½ ს. შინაგანნი და ბავშვების ავადმყოფობანი.

მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით. (წლ.—6.—631)



### ტფილისის ქალაქის გამგეობამ

მეეტლეთა სტაროსტისა და მის კანდიდატის არჩევნები დანიშნულია 14 იანვრისათვის, პარასკევს 4 საათზე, ხოლო ტფილისის გაღმხრივ სტაროსტის და მის კანდიდატის არჩევნები კი ოთხშაბათისთვის, 9 იანვარს 4 საათზე სთხოვს ყველა ეტლებისა და დროგების პატრონთ, აღნიშნულ დროს ქალაქის გამგეობაში მობრძანდნენ „ბლიახებით“ და ზემოხსენებულ არჩევნებში მონაწილეობის მისაღებად სავალდებულო დადგენილებანიც წამოიძღვარონ. (1—25—1)



მოითხოვეთ ბუნებრივი

### კახური ღვინოები

თავ. ალექ. მ. ჯორჯაძისა და ამხ—ს.

საკუთარ ვენახებიდან.

საწყობი მიხეილის პროსპექტზე, სახლი № 86; აგრეთვე იყიდება საუკეთესო მაღაზიებსა და რესტორანებში ხელმისაწვდომ ფასად. (80—186—29



### ტფილისის კერძო სამკურნალო

გაფართოებულია და სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით.

განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.

ქიენიევის ქუჩა, საკუთარი სახლები № 7, „ვეტცელის“ სასტუმროსთან. ტელეფონი № 500.

სტაციონარულ ავადმყოფთა მიღება ყოველთვის შეიძლება დღეს და ღამეს. საამბულატორო ავადმყოფებს მიიღებენ სპეციალისტი ექიმები:

დემბაშიძე გ. დ.: შინ. და ბავშვ. ყოვ. დღე; გარდა კვირისა 11—12 საათ.

გედევანიშვილი მ. ა. ნერ. და ელექ., ორშ., და პარ. 10½—11 ს.

გურკო გ. ა. შინაგ. შაბ. 1—2 ს. და კვირას 11—12 საათ.

კარშინა ა. ა. კან. და ვენ., ყოველ დღე კვირას გარდა 2½—3½ ს.

მაღალაშვილი გ. გ. შინ., სამშ. და შაბ. 10—12 ს.

ქიქოძე ტ. ს. შინაგანი. ორშაბათობით და ოთხშაბ. 9—10 ს.

მანხვეტოვი გ. მ. შინ., ორშ., ოთხშ., და პარასკ. 1—2 ს.

მუსხელიშვილი გ. ს.—თვალისა, ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ. 2—2½ ს.

მელიქიშვილი. ნ. მ. ქირურგ. და დედაკაც. ყოველ დღე 12—1 ს.

ფირადოვი რ. ბ. ქირურ. ყოველ დღე 12—1 ს.

პაპავა გ. ა. ყურ., ყელის და ცხვირის ყოველ დღე 2—2½ ს.

ხოზიელევსკი გ. გ. ქირურ., ყოველ დღე, 9—11 ს.

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი მიკროქიმიურ და ბაქტერიოლოგიური ლაბორატორია, რომელსაც განაგებს ექიმი ე. გ. ფედოროვი.

რჩევა ღირს 50 კაპ., საწოლები 2 მანეთიდან დაწყებული. ოპერაც. კონსულტაცი., ელექტრონით წამ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათ. სიფასურით. (200—6.—368)



### სამკურნალო

სპეციალისტ ხამჭედრო ექიმებისა გარედან მოსიარულე ავადმყოფთათვის. ანჩის დიდი ქუჩა, N 3. ალექსანდრეს ბაღის მაზლობლად, ტელეფონი N 483.

ფასი რჩევისათვის 50 კაპ.

ავადმყოფთა მიღება 9½-დან 5 ს.-დე.

ი. მ. ახპიხოვი. ცხვირ., ყელ. და ყურისა. ყოველ-დღე 1—2 საათამდე.

ვნუკოვი—ქირურგ. ყოველდღე 12-1 ს.

დ. გრეიცი—თვალისა, ყოველ დღე 1—2 ს.-მდე.

მონხე—ბავშვთა, შინაგ. ავადმყ. ყოველ დღე, გარდა კვირა უქმისა 1½—3 სათ

ნოვიცკი—ბებია ქალებ., ყოველ დღე 1—2 ს.

უქლბდნიკოვი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 4—5 საათ.

რიდელი—შინაგ. ავად. ყოველ დღე 3—4 საათ.

თეთრაძე—სიფ., ვენერ., კან. ყოველდღე 1—3 საათ.

ხუდნოვსკი ი. ნერვ., სულ., ელექტრო-ტერაპია, ყოველ დღე გარდა კვირა-უქმისა 11½—12½ საათ.

ხარაბ—ბავშვ., შინ. ყოველ დღე 12—1 საათ.

ვეხელოვოზოროვი ნ. ნ.—ქირურგ. ავად. ყოველ დღე 2—3 საათ.

იოხელდიანისა—ქალ. ავად., ორშაბათ. ოთხშ., პარასკ., კვირა 11—12 საათ.

ლიმონი—კბილის ავად. ყოველ დღე 9—11 საათამდე.

დ. ა. მხიტარიანცი—სიფ., ვენერ., დილის 9 საათ. 10 ნახევარ ს. ყ. დღე.

პონდოევი—ნერვ., ელექტრო-ტერაპ., ყოველდღე 2—3 საათ.

ხატისოვი ნ. დ.—ბებ., ქალ., ყოველ დღე, კვირისა და სამშაბათს გარდა 4—5 ს.

წამლობა 606-ით.

კონსულტაცია, მასსაჟი, ყვავილის აცრა, ოპერაცია, ანალიზი, ჰიპნოზი, ძიძების და მოსამსახურეთა გასინჯვა შეთანხმებით. სიფილისის (ათაშანგის) გამოკვლევა სისხლში პროფ. ვასსერმანის წესით. (100—6.—40)



**ექიმი** ვ. ს. მუსხელიშვილი იღებს თვალებით ავადმყოფებს ყოველ დღე დილით 9-დან 11-მდე. გორჩინის ქ., № 9. (ფ)



ქ. ქუთაისში

ქირურგიული და დედათა სნეულებათა

### საავადმყოფო

სამშობიარო განყოფილებით ექიმის

### ივ. ზოკერიასი

გიმნაზიის ქუჩა, თეატრის პირდაპირ. იქვე წამლობენ სიფილის პროფესორ ერლიხის ახალი საშუალებით „606“. (30—405—15)



**ექიმი** რ. დ. მაჭავარიანი იღებს ავადმყოფთ ყოველ დღე დილით 8—11 საათამდე და საღამოს 6—8 საათამდე ბაკინოვის ქუჩა N 7. ო.—180—70



**ექიმი** კბილისა ალ. სოლოღაშვილი იღებს ავადმყოფებს 9—2 ს. და 5—7 ს. გოლოვინის პროსპ. N 13, სახლი მდივნისა. (ფ)



**ექიმი** ე. ვაშაკიძე იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს. დილით 8—9 ს., საღამოთი 5—7 ს. გოგოლისა და ბატარეინის ქუჩების კუთხე N 24. 0—304



**ექიმი** ჯაფარიძე ქ. ქუთაისში იყვანს ყურის, ყელის, ცხვირის, ბავშვებისა და შინაგანის სნეულებით ავადმყოფებს ყოველ დღე. ტფილისის ქუჩა, სახლი თავ. ნიჟარაძისა. (ო.—188—54



**ექიმი** ა. ნ. დიასამიძე კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოველ დღე დილით 2—1 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბათობით მხოლოდ დილით 8—9 ს. კვირაობით ავადმყოფებს არ იღებს. მოსკოვის ქ. N 4, სახლი გაბაშვილისა. (ფ)



ქ. ქუთაისში **ექიმი** თ. ტყეშელაშვილი იღებს შინაგან და სპეციალურად ვენერიულ, საშარდე და სასქესო აგებულობათა სიფილისის და კანის სნეულებით ავადმყოფთ. 9—12 ს. 6—8 საღ., ტფილისის ქ. ცირალოვის სახლი, (50—45—8)



ელექტრონისა და რენტგენის

სამკურნალო

### მიხეილ გედევანიშვილისა

იღებს ავადმყოფებს კვირის გარდა დილით 12—1 ს., საღ. 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ., N 20. (0—5.—24)



**ექიმი** შ. ა. მიქელაძე იღებს შინაგან და ბავშვთა სნეულებიანი ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—6 ნახ. საათამდის. გაზეთის ქ. ტელეფონი N 816.


## ტფილისი, 11 იანვარი

**ოსმალეთის ვითარება.** ორი წელია, რაც ოსმალეთში დამკვიდრდა წარმომადგენლობითი სისტემა ნაცვლად აბდულ-ჰამიდის რეჟიმისა; ორი წელია, რაც განახლებულ ოსმალეთს სათავეში უდგანან ახალგაზდა ოსმალნი. მაგრამ ამ ხნის განმავლობაში ხან იქ და ხან აქ ოსმალეთის იმპერიაში იჩენს ხოლმე თავს მოძრაობა, და არ იქმნა, არ მოისპო მღელვარება, არ დამშვიდდა ოსმალეთის ზოგიერთი ნაწილი. დეპეშამ ცნობა მოიტანა, არაბებში კვლავ მღელვარებააო; ოსმალეთის მთავრობა კვლავ იძულებულია, ცეცხლითა და მახვილით ჩააქროს მოძრაობა. მაგრამ არავითარი საბუთი არა გვაქვს ვიფიქროთ, რომ ეს იძულებითი მორჩილება პროვინციებისა ჭეშმარიტ მშვიდობიანობას დაამყარებს ოსმალეთში. პირიქით, იმას უფრო უნდა მოველოდეთ, რომ პროვინციები კვლავ განაახლებენ ეროვნულ მოძრაობას.

ნურავინ იტყვის, თითქოს ოსმალეთის მცხოვრებლებს, ყოველ შემთხვევაში მათს უმრავლესობას შეგნებული არა ჰქონდეს წარმომადგენლობითი სისტემის უპირატესობა აბდულ-ჰამიდის თვითმპყრობელობასთან შედარებით. ეს ყველამ კარგად შეიგნო და ამის საბუთებს საკმაოდ იძლევა ოსმალეთის ცხოვრება.

გაიხსენეთ ეხლა ის, რომ ამ ორის წლის განმავლობაში მოძრაობა იჩენს ხოლმე თავს ოსმალეთის ისეთ ნაწილებში, სადაც სცხოვრობენ არა-ოსმალონი, არამედ სხვა ერები; იმ ნაწილებში ოსმალეთისა კი, სადაც მცხოვრებთა უმეტესობას თვით ოსმალონი შეადგენენ, მღელვარებას ადგილი არა აქვს

ოსმალეთის იმპერია რიცხვით ძლიერ დიდია, მაგრამ მცხოვრებთა უმრავლესობას შეადგენენ არა-ოსმალონი, არამედ სხვა ერები. თვით ოსმალოთა რიცხვი ყველა მცხოვრებთა რიცხვის ნახევარსაც არ შეადგენს, ოსმალეთის სახელმწიფოს ბატონ-პატრონად კი ისინი ითვლები ან ცხადია, ასეთ სახელმწიფოს მართვა-გამგეობა ძალიან ძნელი უნდა იყოს.

ახალგაზდა ოსმალოთ დიადი საკითხი აქვთ გადასაწყვეტი, და სწორედ ამ საკითხის გადაწყვეტასთანაა დაკავშირებული თვით ოსმალეთის კეთილ-დღეობის საკითხიც.

ოსმალეთის დაპყრობილ ერებს კარგადა აქვთ შეგნებული ახალ რეჟიმის უპირატესობა. არამც თუ ეხლა, ახალ რეჟიმის დამკვიდრების შემდეგ, წინადაც კარგად გრძნობდნენ ამ უპირატესობას. გაიხსენეთ კონტრ-რევოლიუცია ოსმალეთში, მოხდენილი აბდულ-ჰამიდის და მის მომხრეთა ოინებით, და გაიხსენეთ ისიც, თუ როგორ ამოუდგნენ გვერდში კონსტიტუციის დასაცველად ახალგაზდა ოსმალთა ჯარს ბოლგარელთა: „ჩეტნიკები“, ის „ჩეტნიკები“, რომელნიც მუდამ იარაღით ხელში ებრძოდნენ ოსმალეთს, და რომელნიც ეხლა კვლავ აპირებენ ხელში იარაღის აღებას უკვე ახალ მთავრობის წინააღმდეგ.

ახალი რეჟიმი ძველისა სჯობია, მაგრამ წარმომადგენლობითი სისტემის დამყარება დაპყრობილ ერებს სავსებით ვერ აკმაყოფილებს. ისპობა ჩაგვრა პოლიტიკური, მაგრამ ცენტრალისტურ ოსმალეთში კვლავ ადგილი ექნება ჩაგვრას ეროვნულს. აი, რისა ეშინიათ ოსმალეთში მცხოვრებ ერებს; ეშინიათ, ვინაიდან კარგად იციან, თუ რა მოელით მათ განახლებულ ოსმალეთშიაც. ამიტომაც არის მღელვარება ოსმალეთის პროვინციებში, ამიტომაც არის, რომ დაპყრობილ ერთა წარმომადგენლები ოსმალეთის დეპუტატთა პალატაში, დაჟინებით მოითხოვენ თავიანთ ერთათვის ავტონომიას. მათ სრულიადაც არა სურთ გამოყოფა ოსმალეთიდან; მაგრამ ამავე დროს მათ უნდათ უზრუნველჰყონ თავიანთ ეროვნული „მე“, უზრუნველჰყონ თავიანთი ერები ძალდატანებით გადაგვარებისაგან.

ინგლისმა ნათლად აჩვენა მთელს კულტურულ მსოფლიოს, თუ როგორ უნდა მართვა-გამგეობა დაპყრობილ ერებისა. იგივე ინგლისი მე-20 საუკუნის დასაწყისში მიდის თანდათან აზრამდის, რომ თვით ინგლისის მართვა-გამგეობა აღარ უნდა იქნეს ცენტრალისტური და არამც თუ აპირებს ჰომრულის, ავტონომიის მიცემას ირლანდიისათვის, არამედ ასეთივე ჰომრულის მიცემას აპირებს უელსსა და შოტლანდიას. ამგვარად, ინგლისში თანდათან ვითარდება აზრი ცენტრალისტურ მართვა-გამგეობის შეცვლის შესახებ ავტონომიურ-ფედერატიულად. ყველა ეს კარგი მაგალითია დანარჩენ სახელმძღვანელთათვის დანარჩენ სახელმწიფოთათვის და განსაკუთრებით კი ასეთთათვის, სადაც სცხოვრობენ სხვა ერებიც. კარგი მაგალითია მაშასადამე ახალგაზდა ოსმალთათვისაც. საუბედუროდ, ახალგაზდა ოსმალონი სასტიკი ცენტრალისტები არიან და მათ სრულიადაც არა სურთ მიანიჭონ ყველა დაპყრობილ ერებს ავტონომია. ამას ნათლად გვიმტკიცებს მათი მოქმედება ამ ორი წლის განმავლობაში. მათ ჰგონიათ, რომ გათანასწორება პოლიტიკურსა და მოქალაქობრივ უფლებებში სავსებით სწყვეტს ეროვნულ საკითხს. სცდებიან, გარდა პოლიტიკურ უფლებებში გათანასწორებისა, ეროვნულ ჩაგვრის

მოსასპობად საჭიროა ეროვნულ-ი თვითმმართველობა, საჭიროა ის, რასაც ეწოდება ავტონომია. თუ ახალგაზდა ოსმალნი გაჯიუტდნენ და არ შესცვალეს თავისი პოლიტიკა, ოსმალეთის მომავალი მრავალ მაგალით გვიჩვენებს დაპყრობილ ერთა აჯანყებისა და მღელვარებისას.

## ქართული პრესსა

ქართულ პრესას ერთი ახალი ორშაბათ ს გაზეთიც მიემატა „თემის" სახელით.

გაზეთის მეთაურნი ვალდებულებადა სთვლის თავის მიმართულება მკითხველს გაუზიაროს „თემი" ამბობს:

„რადგანაც ჩვენი გაზეთი ყოველდღიური არ არის ჩვენ დიდ ყურადღებას პოლიტიკურ საკითხებს ვერ მივაქცევთ.

კულტურამ; ცივილიზაციამ ჩვენს წრეში შეიყვანა ჩვენი ერის ფართო წრეები. ახალი ცხოვრება ვიდიბდება, ახალი აზრი იბადება, ახალი ზნე ჩვეულება ისახება. ყველაფერს გაძღოლა უნდა. ჩვენი განათლებული წრის მოვალეობას შეადგენს გაება სასათმიერი და თავში ცემა კი არა, არამედ მედგარი ბრძოლა შემზღუდველ პირობებთან და სწორი უტყუარი მსჯელობა ყველა ეროვნულ საკითხებზე. ხალხის მასსამ წინ გაუსწროა მის მებაირახტრე ინტელიგენციას, მისი სულიერი მოთხოვნილებანი გამოისახა. საჭიროა მათი დაკმაყოფილება. ჩვენ ვეცდებით იმდენად მაინც, რამდენადაც დონე შეგვწევს და გარეგანი პირობები ხელს გვიწყობს, ამ დიდ საქმეს გვემსახუროთ.

როგორაც ჰხედავთ „თემი" პოლიტიკურ საკითხებზე მსჯელობას „დიდ ყურადღებას ვერ მიაქცევს", მაგრამ „მედგარი ბრძოლა შემზღუდველ პირობებთან და სწორი უტყუარი მსჯელობა ეროვნულ საკითხებზე" თავის მოვალეობად მიაჩნია.

„ადვძრავთ საკითხებს, თუ ვკვე ადძრულს შევეხებით, მხოლოდ ერის კეთილდღეობას მივიღებთ მხედველობაში, უპირველეს ყოვლისა ჩვენი მშრომელი ხალხის მდგომარეობას გავითვალისწინებთ. ის მოგვიწოდა ჩვენი ერის კულტურულად განახლების საფუძვლად. მასზე ვამყარებთ ჩვენს იმედს, ჩვენს მომავალს. მასში უნდა გავაღვივოთ სწავლა-განათლება, შევათვისებინოთ კულტურული საშუალებანი მძიმე ეკონომიურ პირობებთან ბრძოლაში და საზოგადოდ შეუწყოთ ხელი მის წინ-სვლას და განებრივ აყვავებას.

შემდეგ გაზეთი აღიარებს:

„ჩვენ მოვალედ ვსთვლით ჩვენს თავს დარაჯად დაუდგეთ ამ დიდ საქმეს. მით უფრო რომ ჩვეულები- სუბარ პარტიათა გარეშე ვიმყოფებით..."

გაზეთმა პარტიულობისა და პოლიტიკის მიმდევრობას რაკი ზურგი შეაქცია, დამშვიდებულად უკანასკნელ აღსარებასაც გვიზიარებს:

„ისიც დავუმატოთ, ვსთქვათ, რომ ბედნიერება ჩვენი ერისა ჩვენის რწმენით გადაბმულია სხვა მეზობელ ერების ბედნიერებაზე. ამისათვის საჭიროა მათ შორის გულ-წრფელი კულტურული კავშირი, ადგილობრივი ცხოვრების რიგიანად და წესიერად მომწყობი ამის შესახებ ჩვენ არა ერთხელ გვქონება ბაასი ჩვენი გამოცემის ფურცლებზე.

ჩვენც მოვიცადოთ...

## ნარკვევი

„ნოვოე ვრემია" და მისი ცნობილი გზადაკარგული თანამშრომელი, რომელიც „ზატერიანის" ფსევდონიმით სწერს, საახალწლო ნომერში, გოზინაყის სამაგიერო შაქარლამით უმასპინძლდება მთელს კავკასიას. მოვუსმინოთ:

„უკანასკნელი წელიწადი ისეთივე სულშემხუთავი სისხლის-ამღვრევი იყო, როგორც წარსული ხუთი წელიწადი. თითქოს რაღაცა შავი ბედი თავს დაგვტრიალებდეს. ადგილობრივმა მთავრობამ ათ მილიონიან სხვა და სხვა ეროვნებით დასახლებულ კავკასიას ვერაფერი უშველა და საქმე ვერ გააუმჯობესა.

სანამესტნიკოს მომხრენი ბოლოს მაინც უნდა დარწმუნდნენ, რომ მთავარმართებლობის მაგიერ სანამესტნიკოდ დაარსება უნაყოფოდ გამოდგა, მას არავითარი სარგებლობა არ მოუტანია. პირიქით, უმაღლეს უფლების ძალით გამომხატველმა ნამესტნიკმა, რომელიც სრულიად დამოუკიდებლად განაგებს მთელ მხარეს, ისეთი რწმენა შექმნა, თითქოს კავკასია, რუსეთის სახელმწიფოს ნაწილი კი არა, სრულიად დამოუკიდებელია და რუსის ცენტრალურ კომპეტენციას არ ექვემდებარებოდეს. თითქოს მისთვის საჭირო იყოს სხვა გვარი მმართველობა, რომელსაც რუსეთის საერთო სახელმწიფო მმართველობისაგან ერთგვარი გარდუვალი კედელი ჰყოფდეს.

მართალია, შეუძლებელია ამ მიუსვენარ განაპირა ქვეყნისათვის განსაკუთრებულ ზომების უარყოფა, მაგრამ ვიდრე წესიერება აღდგებოდეს, სრულიად საკმარისია, როგორც ფინლანდიასა, თურქესტანსა და პრიამურის მხარეში, კავკასიაშიაც შემოღებულ იქმნას ჩვეულებრივი გენერალ-გუბერნატორობა და, რასაკვირველია, ამ თანამდებობაზე უნდა დაინიშნოს ენერგიული, გამბედავი და სულით ჭეშმარიტი რუსი ადმინისტრატორი, კაცი მაგარის ხასიათისა და ნათელ აზრისა, ამ ჟამად კავკასიაში მოწმენი ვართ სახელმწიფო უფლების სულთამობრძავობისა. კავკასიის უმაღლეს მმართველთა შორის იმყოფებიან გამბედავნი, ენერგიულნი, კეთილ ზრახვით აღფრთოვანებულნი, რომელთაც კარგად ესმით საფრთხე, მაგრამ ყველა კარგად დაწყობილ საქმეს და მათის მოქმედებას აფერხებს სანამესტნიკოს ცენტრალურ მმართველობა, რომელიც დამოკიდებულია არა უხეირო, და უმთავრესად კი, არა რუსთაგან, როგორნიც არიან, მაგ., ვარაცი, პეტერსონი და სხვები. თვით ნამესტნიკიც კი, რამდენადაც ვიცნობ და მასთან არა ერთხელა მქონია საუბარი მეტის მეტად რბილი და მინდობილი კაცია. ამ ბოლო დროს კი ავადმყოფობა სრულიად ხელს უშლის ქვეყნის მმართველობაში. ამიტომაც არის, რომ კავკასიის საქმეთა არევ-დარევის პასუხის მგებლობა კისრად ედება „კავკასიის უმაღლეს მმართველობას" და არა გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს, რომელიც დამნაშავეა მხოლოდ იმაში, რომ გარს ვერ შემოიკრიბა გამბედავი, მტკიცე ნიჭიერი და რუსეთს სახელმწიფოებრივ აზრის გამტარებელნი.

კავკასიის მართვა-გამგეობა მინისტრთა საბჭოსა და ცენტრალურ მთავრობაზე რომ იყოს დამოკიდებული, გააწესრიგებდა გუბერნატორთა მოქმედებას, მსწრაფლ ჭკუაზე მოიყვანდა კავკასიის შოვინისტებს და დაარწმუნებდა, რომ კავკასია პატარა ნაწილია მთლიან რუსეთის იმპერიისა, რომ იგი ერთი გუბერნია და ავტონომიურ მართველობაზე ოცნება,—უნაყოფოს წყლის ნაყვაა და სხვა არაფერი.

სანამესტნიკოს გაუქმებაზე ამ საჭირბოროტო საკითხის გადაწყვეტაზე დიდი ხანია უნდა ვვფიქრნა, უნდა გვეზრუნა, რომ რუსეთს განაპირა ადგილებში მკვიდრ რუსებს მეტი უფლება და თვალსაჩინო ადგილი დასთმობოდათ ყველა საზოგადო თვითმართველობაში, ერობის საქმეებს უნდა უეჭველად უმრავლესად რუსები აწარმოებდნენ...

კავკასიის გამხრწნელი ნაციონალიზმი და კავკასიის მახინჯ ნაციონალიზმის თავისებურება, რომელიც ასე საზარალო და დამღუპველ ზეგავლენას ახდენს კავკაზიის პოლიტიკურსა და ეკონომიურ ცხოვრებაზე დაუყოვნებლივ უნდა მოისპოს. წინააღმდეგ შემთხვევაში, კავკასია არ დაწყნარდება და შფოთსა და აჯანყებასაც დასასრული არ ექნება.

ამის გარდა მედგარი წინაამდმდეგობა უნდა გაეწიოს იმათ, რომელნიც ადგილობრივ სახელმწიფო ენას შეზღუდვას სცდილობენ. სახელმწიფო დაწესებულებასა და სკოლებში არ უნდა იხმარებოდეს ადგილობრივ ენები და სადაც კი ადგილობრივი ენებია შემოღებული —უნდა განიდევნოს და მის მაგიერ შემოღებულ იქმნას მხოლოდ რუსული. საზოგადო დაწესებულებაშიაც მხოლოდ რუსული ენა უნდა იხმარებოდეს. ეს დაწესებულებანი განძია არა მარტო კავკასიის ნაციონალიზმისა ან და კავკასიის ვიგინდარა მკვიდრთა, არამედ მთელის საზოგადოებისა.

კავკასია—ფინლიანდია და პოლონეთი როდია, სადაც მკვიდრნი მხოლოდ ერთ ერს წარმოადგენენ და ერთს ენაზე ლაპარაკობს. კავკასიაში სხვა და სხვა ერები სცხოვრობს და რატო ერთ ენაზე არ ლაპარაკობენ. არც ერთს ენას უპირატესობა არ უნდა მიეცეს მაშასადამე ამ ადგილობრივმა ენებმა ადგილი უნდა დაუთმონ მხოლოდ რუსულს—სახელმწიფო ენას. კავკასიის ნამესტნიკის ცდა იმის გამო, რომ ქართველებისა და სომხების პირველ დაწყებით სკოლებში. სამშობლო ენა შემოეღოთ—დამღუპველად გამოდგა და ხელი შეუწყო უფრო მეტად ნაციონალურს გაიზვას კავკასის მცხოვრებთა შორის. ქალაქებში ყველა ერიჯნების მოზარდი თაობაა, ამ ბავშვებისთვის საჭიროა კარი გაიღოს იმ სკოლისა, რომელიც მთავრობისაგანაა დაარსებული და მისის ხარჯით ინახება. ეხლა კი სომხურ თუ ქართველისა მოწაფე ძალა უნებურად იქ სწავლის სადაც მშობლიურ ენაზე ასწავლიან. ისეთი შემთხვევაც ყოფილა, რომ კეთილგონიერი მშობლები წინააღმდეგნი ყოფილან რომ მათი შვილების ეროვნულ ნიადაგზე ზრდიან და სურვილი განუცხადებიათ რუსულად ასწავლეთო.

თვალსაჩინო საკითხს გადაწყვეტად საჭიროა, რაც შეიძლება მალე უკადა მოეწესრიგდეს ქართველთა და სომხთა საეკლესიო საქმეები. ქართველებისა და სომხების სამღვდელოება პოლიტიკაში ჩაეფლო და ნაციონალისტების ხათაბალო ნიჟათად გაზდა. ქართველების პოლიტიკას შემდეგად მოჰყვა ეგზარხოსის ნიკონისა, ხაზინდარი მკვლელობა, რომელიც დღემდე არ დაგვიწყებია და გული გვიწყლდებს. ხოლო სომხებისათ კი იმხედრა და სალდავში ჩასვენა რუსეთისა და რუსეთის მთავრობის ერთგული სომეხთა კათალიკოსი მათეოსი იზმირლიანი.

აქვე უნდა აღვნიშნო, რომ 1911 მიზრულდება 100 წელიწადი, რაც საქართველოში საეგზარხოსო დაარსდა. 1811 წელ ქართველების უკანასკნელი კათალიკოსი რუსეთში გაიწვიეს, ამის შემდეგ კი საეგზარხოსო დაარსდა. პირველი ეგზარხოსი ქართველი იყო, ვარლამი, ლაგატ ერისთავების თამომავლობის ან.

ერთად-ერთი საგანი, რომელზედაც რუსეთის მთავრობამ უნდა იფიქროს დამდეგ წლისათვის ის არის, რომ მან გზა გაუკვლიოს რუსეთის მრეწველობის შენებრის სიმდიდრის გამოხარვებლად. ამ ჟამად კავკასიის მრეწველობა ნავთისა, მარგის ქვისა, მარილისა, თევზ-ჭერობისა, ტყისა, ხამთამადნო"სა და სხვა მრავლისა, ინგლისელებს, გერმანელებს, ბერძნებს, ებრაელებს ჩაუგდიათ ხელში. რუსებთ კაპიტალს და რუსის შრომას სულ მცირე ადგილი უჭირავს. კავკასიის მრეწველობა აუცილებლად რუსების ხელში უნდა გადავიდეს.

კიდევ უნდა აღვნიშნო, რომ მომეტებული მოხამაზურეების, მოხელეებისა, კანცელარიისა და უცხო ტომთა წარმომადგენელთაგან შესდგება. რუსის მთავრობისაგან ჯამაგირს ღებულობენ და მასვე აგინებენ. ამიტომაც, 1905 წ. რევოლუციის დროს, მოწმენი ვიყავით იმისა, რომ რევოლუციაში მოხელენი დიდ მონაწილეობას იღებდნენ. საითაც არ გაიხედავდი მოხელე იდგა თავის კოკარდით და „ფორმის ტუჟურკით". წარსულ წლების მაგალითებმა ვერაფერი შეაგნებინა კავკასიის უმაღლეს მთავრობას და ამ ჟამად, რომელი დაწესებულებაც გინდა აიღოთ, „კანცელარია" თუ „გამგეობა" სულ სავსეა ადგილობრივ მცხოვრებით, ხოლო ერთგული რუსები კი გარედ არიან დატოვებულნი რომელნიც უპარტიონი არიან და ასე თავ გამოდებით იცავენ რუსეთისას და რუსის ხალხის ინტერესს.

ძალიან გულით მსურს დავიწყო გაძლიერებული იმედები და ვიწამო, რომ ახალი წელი კავკასიას ახალ კურსსა და ახალ მოღვაწეთ მისცემს".

ამ საახალწლო „მილოცვას" განმარტება აღარ ესაჭიროება.

## დეპეშები

(პეტერბ. დეპეშათა სააგენტოსაგან)

**საზღვარ-გარედ.**

9—10 იანვარი

**ბერლინი.** კონსერვატორების წინადადება, საიმპერატორო გვარეულობის გადასახადების განთავისუფლების თაობაზე, რეიხსტაგმა უარჰყო. საკითხის გარჩევას პოლონელი დეპუტატები არ დაესწრნენ,

**პარიზი.** დეპუტატთა პალატაში დადვაილიანმა ხოლერასთან საბრძოლველად კონფერენციის მოწვევა მოითხოვა. ბრიანმა უპასუხა, ჰიგიენის შესახებ კონფერენციის მოწვევა ეხლახან გადასწყვდაო.

ბრიანმა შამპანში მომხდარ არეულობის თაობაზე სთქვა: მთავრობა, მიუხედავად უკანასკნელ ამბებისა, მეღვინეებს კარგად ექცევა და გადასახადებიდანაც ანთავისუფლებს და ღვინის ფალსიფიკატორებსაც სასტიკად სჯისო.

**ბერლინი.** მიწად მოქმედებს მინისტრმა ლანდტაგის კომისიაში განაცხადა, სტუდენტთა გაფიცვებს ვერ მოვითმენ და ისე დავსჯით, როგორც პონოვერის საზეიმო ინსტიტუტის სტუდენტები დავსაჯეთო: წარსულ საუნივერსიტეტო სემესტრს არ ჩაუთვლითო.

**ლისაბონი.** გარეშეთა საქმეთა მინისტრმა პრესის წარმომადგენლებს განუცხადა: პორტუგალიის შინაური თუ გარეშე მდგომარეობა კარგად არისო. ინგლის-ამერიკული ბანკი მთავრობას ხელს უწყობს, რომ სამხედრო ხომალდებზე ცვლილება მოვახდინოთო,

**ათინა.** საერო კრება გაიხსნა.

**სტამბოლი.** დიდი შთაბეჭდილება მოახდინა პარლამენტის ქრისტიან დეპუტატთა (ბერძნები, სომხები, სერბები ბულგარელები და არაბები) შეკავშირებამ. ქრისტიან 45 დეპუტატმა დაადგინა მუსულმანთა ოპოზიციას შეუერთდეს და თანხმობით იმოქმედონ.

**გონგონგი.** აქ არეულობაა, სიმთვრალისაგან გაოგნებული მუშა საავადმყოფოში მიჰყავდათ, იგი გზაში გარდაიცვალა. ბრბომ მისი სიკვდილი პოლიციას დააბრალა და დაერია კიდეც. ინგლისურ გერმანულ გემებიდან პოლიციას ჯარი მიაშველეს. შეტაკების დროს 7 ჩინელი მოკლეს.

**ქაირო.** ნაციონალურ პარტიის წევრთა საერთო კრებამ ინგლისის გარეშეთა საქმეთა მინისტრს და ოსმალეთის დიდს ვეზირს ოკუპაციის გამო პროტესტი გამოუცხადეს. ქედივს დეპეშით მისთხოვეს კონსტიტუციის შემოღება.

**ვენა.** ქვემო-ავსტრიის ხოლკოლულის ავადმყოფთა სამკურნალოს დირექტორი ადასტურებს, რომ პროგრესიულ ტვინის სიმპლის ექიმობის ცდამ საუცხოვო ნაყოფი გამოიღო, ათაშანგით გატეხილმა და დადამბლავებულთ ინექციას უშვრებიან, რომელიც ჭლექის ციებასა და კოლერის იწვევს. ასიდან 23 სრულებით გონკიური ციება დასუსტება იწვევდა, ხანდიხან კი სიდამბლესაც სპობდა. წამლობის აღნიშნული მეტოდი უნივერსიტეტის საპსიხიატრო კლინიკაშიაც სცადეს და დამამშვიდებელი შედეგი მიიღეს.

**ნიუ-იორკი.** ტაფტმა პენსილვანიის საზოგადოებაში შემდეგი სიტყვა წარმოსთქვა: შეერთებულ შტატებსა და ინგლისის შუა შეთანხმების შეცვლას ის მიზანი ჰქონდა, რომ ხელ-მეორედ მოგვეპოვებინა უფლება პანამის არხის გასამაგრებლად. არხის განეიტრალება, საერთაშორისო შეთანხმებით შეუძლებელია. და განა ჩვენ 500 მილიონის დახარჯვის შემდეგ უარი უნდა ვსთქვათ არხის სამხედრო სიმტკიცეზე და უპირატესობა კი ყოველ ერს უნდა მიეცეს, რომელიც კი მოისურვებს ჩვენს გათელვას? მშვიდობის მოსურნეობაში სხვას არ ჩამოვრჩებით და მზადა ვარ სენატს სამედიატორო ხელშეკრულებები წარვუდგინო, მაგრამ არ ძალ-მიძს ომის შეუძლებლობა უარვყო. ჯერ კიდევ არ დამდგარა ის დრო, რომ ყოველივე უთანხმოებათა გადაწყვეტა სამედიატორო სასამართლომ შეიძლოს.

**ბელგრადი.** აქაურმა გაზეთებმა ჩარიკოვის ჩამოსვლის გამო, უმართებულო ცნობები გამოაქვეყნეს და მის მოგზაურობის საბაბად იმასა სთვლიან ვითომც ჩარიკოვს საიდუმლო მონდობილობა ჰქონოდეს ადრიატიკის რკინის გზის თაობაზე, რომელიც სერბიისთვის არა ხელსაყრელი იყოს. თვითმართველობა აბათილებს ამ ჭორებს და ამბობს, ჩარიკოვი ბელგრადში დიდი მგლოვიარობის შემდეგ ჩამოვიდა, რომ გული გაართოს და მეგობრები ინახულოსო. რაც შეეხება ადრიატიკის რკინის გზას რუსეთი სერბიის სურვილს მხარს უჭერს მით უმეტეს რომ სერბიის წადილი ოსმალეთის ეკონომიურსა და სამხედრო ინტერესებს სავსებით ეთანხმება.

**ტოკიო.** გუშინ პარლამენტის სესია გაიხსნა. მინისტრ-პრეზიდენტმა სთქვა: იაპონიის კეთილი განწყობილება აქვს ყველა სახელმწიფოსთანაო. წინანდელ ფინანსიურ პოლიტიკას განვაგრძობთ და თუ ძლიერ საჭირო არ გახდა, შეიარაღებაზე არას დავხარჯავთო.

**ლონდონი.** გრიმსბში ჯორჯ ლოიდის თავმჯდომარეობით მებადურეთა საზოგადოებების კრება მოჰხდა. კრებაზე დაადგინეს, მთავრობის წინაშე იშუამდგომლონ, რომ ბრიტანიის ინტერესები დაცულ იქმნას რუსეთის ახალ კანონის წინაშე. არხანგელსკის გუბერნიის სანაპიროს 12 მილის მახლობლად უცხოელთა მებადურობა ეკრძალებათ.

### რ უ ს ე თ ი

**ხარბინი.** რკინის გზის მოსამსახურეთა ბინის ჩხრეკის დროს პოლიციის სამმართველოის როტმისტრი დელივრონი მოჰკლეს.

## წერილი ამერიკიდან

ქალ. დენვერი კოლორადოს შტატის სატახტო ქალაქია 225000 მცხოვრებით. იგი 5280 ვ. (ერთი მილის) სიმაღლეზე მდებარეობს. ჰაერი ძლიერ მშრალი და მსუბუქია და ჭლექიან ავადმყოფთათვის ექიმებისაგან სასარგებლოდ ცნობილია; ამიტომ ამერიკის თითქმის ყოველ მხრიდან საექიმოდ აქ მოდიან, ამათთვის საგანგებოდ ბარაკებია დამზადებული. რასაკვირველია, აქ მოდის უფრო შეძლებული ხალხი. ღარიბის ჯიბე აქაურ სიძვირეს ვერ აიტანს.

ადგილობრივი მართვა-გამგეობა დემოკრატების ხელშია.

დენვერი 50 წლისაა და აქვს შემდეგი დაწესებულებანი: 2 უნივერსიტეტი, 10 კოლეჯი და აკადემია, 65 პირველ-დაწყებითი უფასო სახალხო სასწავლებელი. ერთი გრანიტის ქვით ნაშენი შტატის სატახტო სასახლე (Capital) ღირებული 3.600000 დოლლარად (ერთი დოლლარი ორი მანეთია). ამ შენობის ქვედა სართულში მოწყობილია გეოლოგიური (მადნეულობის) და ბევრი ამ ქვეყნის ძველ ისტორიულ ნაშთთა მუზეუმი. ქალაქს კარგი ბაღ-ბიქავს ბევრნაირ ცხოველებით და მუზეუმით. ერთი აუდიტორია ნახევარ მილლიონ დოლლარად ღირებული 12,000 ადგილია რომელშიდაც კვირაობით უფასო კონცერტი იმართება. 28 საავადმყოფო, მათ შორის რამდენიმე საგანგებოდ ჭლექიანთათვის მოწყობილი. 9 თეატრი, უმეტეს მათგანში დღეში სამჯერ იმართება წარმოდგენა და მუდამ ხალხითაა სავსე, მეტადრე შაბათ-კვირაობით, წარმოდგენის დროს ხალხი ისე სულ განაბული ისმენს რომ ჩვენებურ კაცს მუნჯები ეგონება. მოწონების გამოსახატავად მარტო ტაშს უკრავენ და იმასაც რიგზე. 160 სხვადასხვა რჯულის ეკლესია, ამათშიაც აქაურ პრიჩების (მღვდლების) საბედნიეროდ საკმაო ხალხი დაიარება. 14 სხვადასხვა პარტიული და განმანათლებული კლუბებია. მათ შორის ერთი კოლორადოს შტატის ქალთა კლუბი. კოლორადოს შტატის ქალებმა მამაკაცებთან თანასწორ უფლებების მოპოვებით კაცებს ბევრით წინ გაუსწრეს და (თუ შეიძლება ასე ითქვას) კაბებიც ჩაიცვეს მამაკაცებს, მაგრამ ამით მათთვის ზარალი კი არ მიუყენებია, არამედ უკეთეს პირობებშიაც სცხოვრობენ კაცებთან ერთად. რაც შეეხება იმ მოვლენას, რომ აქაური სასამართლოები მარტო ქალების გაყრა განქორწინებას უნდებიან, ენ საზოგადო მოვლენად უნდა ჩაითვალოს. 1 სამკითხველოა 80,000 წიგნებით. 1 სასამართლოს შენობაა, სადაც უმეტეს შემთხვევაში ღარიბებს ამტყუნებენ. 1 დიდი საგრაფო ციხე-საპყრობილეა, რომელიც მარილ-მსაჯულების წყალობით, მუდამ ტუსაღებით სავსეა და ხშირად საკმაო ალაგიც არ აქვთ. ერთი პოლიციის შენობაა მილიციონერ. პოლისმენებით (პოლიციელებით) ამათ წყალობით დენვერი ბევრ-გვარადაა უზრუნველყოფილი. თუ ვინმემ გაჰბედა და მოიპარა რამე კენზაო ციხეში სამუდამოდ გაჰგზავნიან, კაცის მკვლელს ამ შტატის კანონის ძალით მეტს შემთხვევაში ჩამოახრჩობენ. ლოთობისთვისაც მთვრალს იჭერენ და 10—45 დოლლარამდე აჯარიმებენ, და თუ ჯარიმას ვერ გადიხდის 90 დღემდე ამუშავებენ, სადაც მათვის საგანგებოდ სამუშაოც აქვთ დანიშნული.

ამნაირივე კანონია [illegible] შემთხვევაში უფულო, უმუშევართათვისაც. შემთხვევა იყო რომ უსაქმო და უფულო სამის თვის მუშაობის შემდეგ ზამთარში ციხიდან გაანთავისუფლეს, მაგრამ მუშამ ითხოვა, სამ თვეს კიდევ დამსაჯეთ, მამუშავეთო, რადგან არც სამუშაო მაქვს და არც ფულიო. მაგრამ უარი უთხრეს საწყალს. თუმცა ამ ქალაქში ამდენი მცხოვრებია, სამუშაოს შოვნა მაინც ძნელია. ისევ ზაფხულობით ხუთ ექვსი თვის განმავლობაში თუ იშოვება რამე საქმე, მაგრამ მაშინაც, აქაური მუშების საქმე, გაიძვერა აგენტების ხელშია ჩავარდნილი. ზაფხულობით ბევრი საქმეები კეთდება, მაგრამ ბევრნაირად გაუმჯობესებულ მანქანების წყალობით მუშა ძრიელ ცოტა სჭირდებათ. რისაც მაშინის შემწეობით ჯერ კიდევ გაკეთება არ ხერხდება და მუშებს ამუშავებენ, იქაც ისე საძაგლად არის მოწყობილი საქმე მუშათა საყვლეფად, სხვა და სხვა აგენტების, ბასრების, (უფროს მუშებს) და ფორმანების (ბასსებს უმფროსი) წყალობით, რომ კაცს თავი მოჰბეზრდება. თუ სადმე სამუშაო გამოჩნდა, აქაური საქმის მკეთებელი კომპანია ან კაპიტალისტი მათ საყვარელ აგენტებს ატყობინებს ამაზე. აგენტებს ბიუროები აქვთ გახსნილი მუშათა მისაღებად. აგენტები სწერენ, რომ მუშები სჭირდებათ, და ფასებსაც სწერს, და ყოველ მიღებულ მუშას სამუშაოს შოვნაში ერთ დოლლარს ახდევინებს.

ამნაირად მუშას სამუშაოს აძლევს და ამავე დროს საქმის მწარმოებლისაგან დაყენებულ მასს ურიგდება, რამდენს მუშასაც მისგან მიიღებს იმდენს ორმოცდაათ სენტს (ერთ მანეთს) ბასს მისცემს. ამით წახალისებული ბასსი სარგებლობს აქაურ მუშათა დათხოვნ-მიღების თავისუფლებით და იმდენს ღებულობს რამდენსაც ითხოვს. დათხოვნილი მუშა მიდის მეორე აგენტთან ერთ დოლლარს აძლევს და სამუშაოს შოულობს, მაგრამ ამავე დროს მის მოადგილეს ითხოვენ. ამნაირ მუშაობით ბევრი არხები გაჰყავთ, მშვენიერ ბაღებს აკეთებენ, უზარმაზარ სახლებს და კოშკებს აშენებენ, ქუჩებსა და ტროტუარებს ასფალტით და ბიტონით აგებენ, ბევრი საქმეები შეუჩერებლივ კეთდება, და გამკეთებელი მუშები კი მუდამ ლოღავენ, და ხშირად მუშაობის დროსაც საჭმლის ფული არ აქვთ. ამავე აგენტებმა თუ ვაიგეს სადმე მუშები მუშაობენო იქ თავისუფლად მიდიან და ბასსებს ნაკლების ფასებში მუშების შოვნას ურიგდებიან. ისინი, აქაურ კაპიტალისტურ გაზეთების შემწეობით, მოტყუებით იწვევენ მუშებს აღმოსავლეთ შტატებიდან, თითქოს აქ ბევრი სამუშაო და კარგი ქირა იყოს და მუშები სჭირდებოდეთ.

შორიდგან მოსული, უფულოდ დარჩენილი მუშა, რომ სამუდამო ციხეებს არ მოხვდეს, (აქ ისეთი კანონია, რომ თუ პოლიციელმა შეატყო მუშას ფული არ აქვს და არც სამუშაო აქვს ამისთანას იჭერს, შემდეგ სასამართლო აჯარიმებს და ციხეში ჰგზავნის) იძულებული ხდება იმუშაოს მცირე ფასებში ან დენვეროს ახლოს ქვანახშირის მაღაროებში, სადაც ეხლა გაფიცვებიცაა.

II.

დენვერის მახლობლად ათასგვარი მდიდარი მადნებიანი ადგილებია. მათ შორის ქვა ნახშირის მაღაროები 15—26 მილზე. პირველი ლაიდენი 16 მილ. მეორე ლუისვილი 19

სანიტარულ რაზმში მსახური სტუდენტი ბელიაევი შავის ჭირით ავად გახდა.

**მოსკოვი.** ნოვო-გრუზინის ქუჩაზე, ბურლოვის ყავა ხანაში, გაზოლინი აფეთქდა და ცეცხლი გაჩნდა. 7 მძიმედ დაშავდა, ერთი მათგანი მოკვდა, ორის მორჩენა საეჭვოა. 7 მსუბუქად დაშავდა.

**ჰელსინგფორსი.** ულეაბორგში პოლიციამ ასოთ-ამწყობებს ნება დართო, რომ სტამბებში დარაჯები დააყენონ იმათ თვალ-ყურის სადევნებლად, ვინც სამუშაოდ შედიოდა. გენერალ-გუბერნატორმა გუბერნატორს უბრძანა, ამგვარი მეთვალყურეობა დაუყოვნებლივ მოესპო.

**ეკატერინოდარი.** მარკშეიდერების კრებამ ყოველ წელს კრებების მოწვევა დაადგინა, 1912 წელს ეკატერინოსლავში, 1913 წ.—პეტერბურგში.

**ბაქოში.** სპარსეთის რეგენტი ნასრულ-მულიკი ჩამოვიდა.

**ჩიტა.** ვერხნეუდინსკის ციხიდან 3 ტუსაღი გაიქცა, თან წაიღეს მორიგე ზედამხედველის თარაღი, რომელიც შებოჭეს. ერთი გაქცეულთაგანი დაიჭირეს, ორი კი მიიმალა.

**პენზა.** ბოროტ-მოქმედის დაჭერის დროს მაძებარ პოლიციის ზედამხედველი დასჭრეს. ბინაზე მრავალი ქურდობაში გამოსადეგი ხელსაწყონი იპოვნეს. მთელი ბრბო 4 კაცისაგან შესდგებოდა, 4-ვე დაატუსაღეს.

# ახალი ამბები

## ტფილისი

◆ **კავკასიის უნივერსიტეტი.** 8 იანვარს საზოგადო კლუბში ქალაქის საბჭოს ხმოსანმა ა. ს. ბაბოვმა ფრიად საინტერესო რეფერატი წაიკითხა ტფილისის უნივერსიტეტის დაარსების თაობაზე. პირველად რეფერენტმა აღნიშნა ამ საქმის ისტორია: ჯერ კიდევ მე-80 წლებში აღიძრა ქალაქის საბჭოს ხმოსანთა შორის აზრი უნივერსიტეტის დაარსების შესახებ, მაგრამ მთავრობამ შუამდგომლობა არ დააკმაყოფილა. შუამდგომლობანი აღძრულ იქმნა შემდეგაც, მაგრამ ყოველთვის უშედეგოდ. 1906 წელს დაარსებულ იქმნა საუნივერსიტეტო კომიტეტი, რომელიც ახლაც არსებობს და შეძლების დაგვარად მუშაობს. ამ კომიტეტის მოქმედებას ბ-ნი ბაბოვი ვრცლად შეეხო და აღნიშნა, როდის რა გააკეთა, ან რა დაადგინა. დასასრულ დაასახელა ის თანხა, რომელიც სხვა და სხვა პირმა და დაწესებულებამ გადასდო უნივერსიტეტის სასარგებლოდ და ის აზრი გამოსთქვა, რომ ამ თანხით შესაძლებელია ტფილისში ახლავე გაიხსნას ფიზიკურ-მათემათიკური ფაკულტეტი ორის ტექნიკურის განყოფილებით. შემდეგ გაიმართა ამავ საგნის გამო საუბარი და თითქმის ყველა მიემხრო რეფერენტის აზრს; ზოგმა დაუმატა: კავკასიის ხაზინას საკმაო შემოსავალს აძლევს და ამიტომ სამართლიანობა და საქმის სარგებლობა მოითხოვს ხაზინამ საჭირო ფული გაიღოს ტფილისში უნივერსიტეტის დასაარსებლად, რომელსაც, ეჭვი არაა, სახელმწიფო ხასიათი აქვსო.

◆ **კახეთის სარკინისგზო „არტელი".** 9 იანვარს საშუურნეო ბანკის შენობაში კრება მოხდა კახეთის სარკინისგზო არტელის მოსაწყობად. კრებამ 17 კაცისაგან საგანგებო კომისია აირჩია და საკითხის ყოველმხრივ გამორკვევა და გადაწყვეტა მიანდო.

◆ **საქართველოს საისტორიო და საეთნოგრაფიო საზოგადოებაში.** ამ დღეებში ამ საზოგადოების მორიგი კრება მოხდა. კრებამ 500 მანეთი გადასდო ქართულ მხატვრობის გადასაღებად. მოიწვევენ ერთს რომელსამე მხატვარს, რომელიც სხვა და სხვა ქართულ მონასტრების კედლის მხატვრობიდან მომავალ ქართულ მუზეუმისთვის ქართველ მეფეთა და სხვათა სურათებს გადაიღებს. ამავ კრებაზე საზოგადოებამ გადასდო: 1) 300 მან. ჯვარის მონასტრის დროებით შესაკეთებლად, რომელიც მცხეთის ტაძრის პირდაპირ არის აშენებული მეშვიდე საუკუნეში, 2) 100 მან. გორის მაზრის სოფელ მეტეხის ტაძრის შესაკეთებლად და 3) 100 მან. წ. მ. გიორგის ეკლესიის საჭიროებისათვის, რომელიც ექსარხოსის მოედანთან არსებობს და წინად ქართველ მეფეთა კარის ეკლესიად ითვლებოდა.

◆ **ქართული სიტყვა-კაზმულ მწერლის საზოგადოებაში.** კვირას 9 იანვარს, ამ საზოგადოების საბჭოს წევრთა კრება მოხდა. საბჭომ დაადგინა: მოიწვიოს საზოგადოების წევრთა წლიურ კრება 30 იანვრისთვის და კრებას, სხვათა შორის, წარუდგინოს წინადადება: 1) საწევრო ფულის შემცირებულ იქმნეს 12-დან 3 მანეთამდე, 2) მუდმივ წევრებად ჩაითვალნენ ის წევრნი, რომელნიც ერთდროულად 50 მან. გადაიხდიან, 3) გამოცემულ იქმნეს სამხატვრო, ფილოსოფიური და სამეცნიერო ნაწერების კრებული.

◆ **კახეთის რკინის გზა.** კახეთის რკინის გზის გაყვანის საქმე უკვე გამოირკვა. გზის გაყვანას შეუდგებიან მხოლოდ შემოდგომაზე, სექტემბრიდან. მანამდე კი დაწვრილებით გამოიკვლევენ იმ მიწებს, რომელსაც გზა გადასჭრის.

◆ **ბავშვთა თავშესაფარის კურთხევა.** ამას წინად ტფილისის საზოგადოებამ „კაპეიკის კავშირმა" ხარფუხში უპატრონო ბავშვთათვის თავშესაფარი დაარსა. თავშესაფარი 9 იანვარს ოფიციალურად გაიხსნა და აკურთხეს კიდეც. თავშესაფარში ამ ჟამად მოთავსებულია 16 ბავშვი, რომელთაც რიცხვი თან და თან გამრავლებულ იქმნება. თავშესაფარი შესდგება ორის კარგის საძილო ოთახისგან, ერთის სასადილოსგან და სხვა. თავშესაფარის კურთხევას დიდძალი ხალხი დაესწრო. პირველად დროს შესაფერი სიტყვა წარმოსთქვა სასულიერო სემინარიის რექტორმა არქიმანდრიტმა პიმენმა და ექსარხოსის სახელით საზოგადოების თავჯდომარეს 50 მან. გადასცა. იყო სხვა შეწირულებანიც. ქალაქის თვითმმართველობის სახელით სიტყვა წარმოსთქვა ა. ი. ხატისოვმა, რომელიც დახმარებას დაჰპირდა საზოგადოებას და სთქვა, საბჭოში ჩქარა შეტანილ იქმნება მოხსენება ამ საზოგადოების სასარგებლოდ ქალაქის თანხიდან ფულის გადადების თაობაზეო. კურთხევას თავშესაფარში მყოფ 16 ბავშვის გარდა დაესწრო საგანგებოდ მოწვეული 90-დე ბავშვი, რომელთათვისაც შობის ხე იყო გამართული. ბავშვები დიდად ნასიამოვნები დაიშალნენ სახლში.

◆ **კათალიკოსის არჩევა.** ამ 80 წლის წინად გამოცემულ წესების თანახმად ახალის კათალიკოსს არჩევდნენ და მოხდეს. ძველის კათალიკოსის გარდაცვალების ერთის წლის შემდეგ ასეთი წესი იმიტომ იყო შემოღებული, რომ ყველა სომხისთვის მიეცათ საშუალება არჩევანში მონაწილეობის მიღებისა. ამ ჟამად რკინის გზის მიმოსვლა გაადვილებულია, დეპეშები ყველგან მიდის და ამიტომ შესაძლებელი გახდა, არჩევა ერთის წლით აღარ გადაიდოს და ახლავ აცნობონ საქმის ვითარება ყველა სომეხს. ამ მოსაზრებათა გამო ეჩმიაძინის სინოდის წარმომადგენელი ეპისკოპოსი მესროპ ტერ-მოვსესიანცი ამ დღეებში ტფილისში ჩამოვიდა და ნამესტნიკის წინაშე შუამდგომლობს, კათალიკოსის არჩევას კვლავინდებურად ერთის წლით აღარ გადასდოს და რაც შეიძლება ჩქარა დანიშნოს.

◆ **გიმნაზიის შენობა.** როგორც ვიცით, განზრახულია ახალი შენობა აგონ ტფილისის ვაჟთა მესამე გიმნაზიისათვის. 12 იანვარს საგანგებო კომისია, რომელიც შესდგება სამოსწავლო უწყებისა და სხვა საზოგადო დაწესებულებისა წარმომადგენლებისაგან, ქალაქში დაათვალიერებს ადგილებს იმის გამოსარკვევად, სად უფრო სჯობიან შენობის აგება.

◆ **მეცხვარეობის გამოფენა.** წელს მოსკოვში სრულიად რუსეთის მეცხვარეობის გამოფენა იმართება. მიწად-მოქმედების დეპარტამენტმა მიმართა კავკასიის მიწად-მოქმედებისა და მიწად-მოწყობის მთავარ მმართველს არხიპოვს, ამ გამოფენაში მონაწილეობა მიაღებინეთ კავკასიის მეცხვარეებს კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოების თაოსნობითაო.

◆ **სასამართლოში.** 15 იანვარს ტფ. სასამართლო პალატა ბათომში გაარჩევს საქმეს სენაკის მაზრის უფროსად ნამყოფ კაპიტან გ. მიტკევიჩისას, რომელსაც სამსახურის დროს დაუდევრობა და უფლებათა გადამეტება ბრალდება.

◆ **პედაგოგიური კურსები.** 17 იანვრიდან ტფ. საოსტატო ინსტიტუტთან საღამოს საპედაგოგიო კურსები გაიმართება, კურსებზე შესვლის მსურველთა გამოცდა 11, 12, 13 და 14 იანვარს მოხდება. იმ პირთ, რომელთაც სამასწავლებლო სემინარია აქვთ გათავებული, გამოუცდელად მიიღებენ.

◆ **ნორმალური დასვენება.** როგორც მკითხველთ იციან, ქალაქის საგანგებო კომისიამ უკვე შეიმუშავა ტფილისის სავაჭრო და სამრეწველო დაწესებულებათა მოსამსახურეთა ნორმალურ დასვენების წესების პროექტი. პროექტი გუბერნატორს წარედგინა დასამტკიცებლად.

◆ **ელექტრონის სადგური.** ტფ. ქალაქის გამგეობისა და სატეხნიკო კომისიის შეერთებულმა კრებამ განიხილა ნობელისა და ნიკოლაევის ქარხნის პირობანი ტფილისში ელექტრონის სადგურის მოწყობის შესახებ და დაადგინა: საკითხი გადაუწყვეტელი დასტოვოს, ვიდრე ამ ფირმებიდან დამატებით ცნობებს არ მიიღებს.

◆ **თავისუფალი სტიპენდია.** ტფ. დედათა მეხუთე გიმნაზიაში შამხოროვის სახელობის ერთი სტიპენდია განთავისუფლდა ქართველისათვის.

◆ **ბათომის ქალაქის სესხი.** კავკასიის ნამესტნიკმა უკვე დაამტკიცა ბათომის ქალაქის საბჭოს დადგენილება, რომლითაც ბათომმა 80.000 მან. მოკლე ვადიანი სესხი უნდა აიღოს აუცილებელ ხარჯების გასასტუმრებლად.

◆ **ბაქოს კათედრა.** ბაქოს ეპისკოპოსი გრიგოლი, როგორც ვწერდით, ორიოლის გუბერნიაში გადაიყვანეს. მის ადგილს ინიშნება ტფ. სასულიერო სემინარიის რექტორი არქიმანდრიტი პიმენი, რომელსაც ეპისკოპოსის ხარისხი ეძლევა.

◆ **თოვლი ბათომსა და ქუთაისში.** როგორც გვატყობინებენ, ბათომსა და ქუთაისში დიდი თოვლი მოსულა.

◆ **ტფ. ქალაქის საბჭო.** როგორც მკითხველებმა იციან, ქალაქის საბჭოს კრება ორჯელ ზედიზედ გადაიდო, რადგან საბჭოს დარბაზში ხმოსანთა კანონიერი რიცხვი არ გამოცხადდა. ამის გამო ქალაქის გამგეობა მეტად უხერხულ მდგომარეობაში ჩავარდა: ახალი ხარჯთ-აღრიცხვა ჯერ დამტკიცებული არ არის, და აუცილებელ ხარჯების გასტუმრებას ველარ ახერხებს, რადგან ამის უფლება საბჭოსაგან არ აქვს. ხმოსნები კრებაზე მოუსვლელობას ბარათების მიუღებლობით ასაბუთებენ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა, კრებაზე მისაწვევი ბარათები რამდენიმე დღით ადრე დაუგზავნოს ხმოსნებს და ზედ ხელი მოაწერინოს.

◆ **ტფ. ტელეგრაფი:** ამ ჟამად ტფილისის ტელეგრაფი წესიერად ვერ მუშაობს. ერთხანად ტფილისი სულ მოწყვეტილი იყო სხვა ქალაქებს. ეს მოხდა იმის გამო, რომ ქარიშხალმა და დიდმა თოვლმა როსტოვში ტელეგრაფის 100 ბოძი წააქცია. ამ ჟამად საქმე ნელა-ნელა წესიერ კალაპოტში დგება. ტფილისიდან დეპეშები იგზავნება როსტოვსა, ადესსა და მოსკოვში.

◆ **გლეხთა განთავისუფლებიდან 50 წლის შესრულების აღნიშვნა.** ამ წლის 19 თებერვალს 50 წელიწადი შესრულდა, რაც გლეხნი განთავისუფლებულ იქმნენ. ამ დღის აღსანიშნად ტფ. ქალაქის გამგეობამ დაადგინა: 1) დაერქვას რიყის ქუჩას 19 თებერვლის ქუჩა, 2) ასეთივე სახელი დაერქვას ქალაქის სამს სასწავლებელს, 3) დაარსოს 10 სტიპენდია (36 მან.) ქალაქის სკოლებში, 4) გამართოს სახალხო სახლში კითხვა: დილით ბავშვთათვის, საღამოთი-მოზრდილთათვის, 5) გადაიდოს ამ კითხვების გასამართად 300 მან. და 6) ამას გარდა გადაიდოს 500 მანეთი წიგნაკის დასაბეჭდათ, რომელშიაც მოთავსებული იქნება ცნობები გლეხთა განთავისუფლების შესახებ. წიგნაკები მოსწავლეებს უფასოდ დაურიგდებათ.

◆ **უხვი შეწირულება.** ტფ. ვაჭრებმა ტიგრან და ისაკ კარაპეტის ძე ვართანოვებმა კავკასიის სამოსწავლო ოლქის მზრუნველს გადასცეს 5.000 მანეთი, თანახმად გარდაცვალებულ თავიანთ მამის ანდერძისა. ამ ფულის სარგებლით ტფ. ვაჟთა პირველ გიმნაზიასა და რეალურ სასწავლებლებში თითო სტიპენდია უნდა დაარსდეს.

◆ **ტფ. ქალაქის ხმოსანთა არჩევნები.** ამომრჩეველთა წინასწარი სია უკვე შედგენილია. ამ ჟამად სიიდან ჰშლიან იმ პირთ, რომელთაც 1910 წლის საქალაქო გადასახადი სრულიად არა აქვთ გადახდილი.

◆ **ეგნატე ინგოროყვას** (მწერლის ეგნატე ინგოროყვას ბიძაშვილია) სასარგებლოდ ვასილ და ბესარიონ აბდალაძეებისგან რედაქციამ მიიღო 1 მანეთი.

◆ 9 იანვარს პოლიციამ ტფილისში შეიპყრო 51 უპასპორტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# ბაქოს ამბები

22 დეკემბერს აქ უეცრად გარდაიცვალა „მოსკოვის ამხანაგობის" ფირმის გამგე ინჟინერი ბრაილოვსკი. განსვენებული ბევრით განსხვავდებოდა აქაურ ფირმების გამგე ინჟინერებისაგან, რომლებიც მუშებში მხოლოდ უიარაღო და უენო მონებს ხედავენ, რომლებსაც უფლება არა აქვთ ხმა ამოიღონ თავიანთ გაჭირვებაზე. მართალია ის კაპიტალის წარმომადგენელის როლს ასრულებდა, მაგრამ არა როგორც გულ-ქვა, ოქროების გულისათვის სამართლიანობასა დაკარგული პიროვნება, არამედ როგორც პატიოსანი, პირდაპირი და სიმართლის მოყვარული მოქალაქე. მუშებშიაც ის ადამიანს ხედავდა და არა უენო მონებს. არც ერთს ფირმას ბაქოში არა აქვს ისე ჰიგიენურად და ყოველ მხრივად მშვენივრად მოწყობილი საცხოვრებელი ბინები და სახელოსნო, როგორიც „მოსკოვის ამხანაგობას".

ამ ფირმას აქვს აგრეთვე მუშებისათვის მშვენიერი ბიბლიოთეკა სამკითხველო, თეატრი და სკოლა, სადაც ერთვნების განურჩევლად წერა-კითხვასა და სხვა საგნებს ასწავლის მუშებს მასწავლებელი ქალი ქ-ნი ვ. ჯაფარიძისა. ყველა ზემოდ ჩამოთვლილი კულტურული დაწესებულებანი და მათ შორის საცხოვრებელი ბინები ნაყოფია განსვენებულის სურვილისა და კეთილ განზრახვისა.

მაშინ, როცა აქაურ ფირმის გამგეებს გასაგონად ეზარებოდათ ყოველნაირი მუშათა კომისიები, კრებები და სხვა ორგანიზაციები და სხვა და სხვა ხერხს ხმარობდნენ მათ აღმოსაფხვრავად, ვ. პ. ბრაილოვსკი სიამოვნებით იღებდა მათ წარმომადგენლებს თავისთან და მათთან მოლაპარაკებასა ჰმართავდა. ეს კიდევ ცოტაა, ის ესწრებოდა თვით მუშების მრავალ რიცხოვან კრებას და სალაპარაკოდ სიტყვას თხოულობდა. დიდი ღვაწლი მიუძღვის აგრეთვე განსვენებულს სომეხ-თათართა შერიგების დროს. მაშინ, როცა ყველა ფირმების პატრონები თუ გამგეები დაფრთხნენ და გაიქცნენ, ვ. პ. ბრაილოვსკი სხვა თავ-განწირულებთან ერთად თეთრის დროშით დაიარებოდა და თვალ-ცრემლიანი, საშინელსა და უაზრო სისხლის ღვრის შეწყვეტაზე ხმას იმაღლებდა. განსვენებულს ყოველთვის აინტერესებდა მუშების ბედ-ბედი, შედიოდა მათ მდგომარეობაში და სცდილობდა ადამიანურად მოეპყრო-

---

მილ. და მესამე ლაფიეტი 22 მილზე. ყველა ამ მაღაროებს სხვა და სხვა კომპანიები ჰპატრონობენ. უკვე ათი თვეა, რაც ამ მაღაროებში დასავლეთ ამერიკის ფედერაციის იუნიან მუშათა პარტიამ გაფიცვა გამოაცხადა. იუნიანებს იმედი ჰქონდათ მადნების მეპატრონე კომპანიებთან შეთანხმებისა, მაგრამ როცა იუნიანებმა გაფიცვა გამოაცხადეს მადნების მეპატრონე კომპანიებმა თავიანთი ასოსიაციები (mine owners associentiou) შეადგინეს და თავიანთი მაღაროები (არა იუნი მუშა) მუშებით გაავსეს. ბევრი მოსული იუნიანი მუშები წავიდნენ, მაგრამ დიდი უმრავლესობა იუნიან მუშებისა რომლებიც მაღაროების ახლოს იდგნენ იქვე დარჩნენ. ბევრჯელ შეტაკებაც მოხდა იუნიან და არა-უნიან მუშათა შორის, მაგრამ აქაური დემოკრატიული მთავრობის პოლიცია არა-იუნიანთა ჰშველობდნენ, საქმე ძრიელ გამწვავდა და იქამდე მივიდა, რომ სახალხო პირველდაწყებით სასწავლებლებში მყოფნი იუნიან მუშათა მოსწავლე შვილები გაიფიცნენ და მოითხოვეს არა იუნიან მუშათა შვილების სასწავლებლიდგან დათხოვნა. აქაც პოლიცია დაიბარეს პატარა ბავშვების დასამშვიდებლად. მაგრამ შერიგება კი ვერ მოხერხდა, და უმრავლესი იუნიან მუშათა პატარა შვილები არა იუნიანთ შვილებს, სადაც მოასწრებენ ცემა-ტყეპით უმასპინძლდებიან. ამისთანებით აქაურ კაპიტალისტებს განცხრომას ვერ დაუშლიდნენ რომ საქმე მარტო ამით დაბოლავებულიყო. აქაურ ქვა ნახშირთა მაღაროების მეპ. კომპანიებმა მიჰბაძეს კოლორადოს ოქროს მადნების მეპატრონებს (კოლორადოს უმეტეს ოქროს მადნებში ამ ჟამად არა-იუნიანი მუშები მუშაობენ) და მოინდომეს იუნიანი მუშების განდევნა. ეხლა როგორც სჩანს, ამან სარგებელი ვერ მოიტანა, პირიქით დიდი ზარალიც მისცა ქვა ნახ. მეპატრონეებს.

ოქროს მადნებზე შედარებით, ქვა ნახშირის მაღაროები მეტ მოფრთხილებით მუშაობას ჰსაჭიროებს, რადგან გაზი და ცეცხლი ხშირი მოვლენაა ქვა ნახ. მაღაროში. ოქროს მადნები კი გაზისა და ცეცხლისაგან უზრუნველ ყოფილია. ოქროს მადნებში გამოუცდელი მუშა ადვილად კვდება ან სნეულდება, მაგრამ ამით მადნის მეპატრონეს ზარალი არ მოსდის. რაც შეეხება ქვა ნახშირში გამოუცდელი მუშა გაუფრთხილობლობით და გამოუცდელობით მთელ მადნის აფეთქებას იწვევს ქვა ნახშირის მადნების აფეთქება ძლიერ დიდ ზარალს აძლევს მეპატრონეთ.

ამ ერთი წლის განმავლობაში ძლიერ ბევრია ამისთანა შემთხვევები მოხდა ამ შტატში პირველი უბედური შემთხვევა იყო 1910 წ. იანვარში პრიმეროში (Primero) სადაც 76 კაცი დაიღუპა, მეორე—ოქტომბერში სტარკვილში (Starkville) დაიღუპა 58 კაცი, მესამე—ნოემბერში დიალოგოში (Delagua) დაიღუპა 80 და მეოთხე—14 დეკემბერს ლეიდენში (Legden) სადაც 10 კაცი დაიღუპა. ეს მარტო აფეთქების გამო, ხოლო წვრილად რამდენიმე ასობით იხოცება ხალხი, მაგრამ როგორც ზევითაც მოვიხსენიეთ მარტო ადამიანთა მსხვერპლი ეხლანდელ კაპიტალისტებს არ აზარალებს და არც შეაწუხებს. აფეთქებით როგორც სხვაგან ისე ლეიდენშიაც დიდი ზარალი მოუვიდათ კაპიტალისტებს.

ლეიდენის ქვა-ნახშირის მაღარო მდებარეობს 16 მილზე დენვერიდან ჩრდილოეთ-დასავლეთით. იგი რვა წლის აღმოჩენილი იყო და მას შემდეგ მუშაობა სწარმოებდა. იქ ამ ბოლო დროს 350—400 კაცამდე მუშაობდა და დღიურად 1200 ტონა (ერთი ტონა 62 ფ.) ნახშირი ამოჰქონდათ. იგი 700 ფუტის (ასი საჟენი) სიღრმეზე მდებარეობს მიწის ქვეშ. სიმაღლე შვიდიდან—ათ ფუტამდე აქვს. ზევიდან ორი შვიდას ფუტის სიღრმეზე ჩასასვლელი (Shaft) ჰქონდა ამოჭრილი, ჩასასვლელ და ქვა-ნახშირის ამოსატან მანქანებით მოწყობილი. სამუშავო შიგ სწორედ ქუჩებივით ნომრობით იყო დაყოფილი და მეტ ნაწილში მანქანებით მუშაობდნენ. მანქანაზე მომუშავეს რვა საათის მუშაობაში 3—50 დან 4 დოლლარამდე ეძლეოდა დღეში, და სხვებს კი 3 დოლლარი. ამ მაღაროში ცეცხლი თავის თავად ხშირად ჩნდებოდა, მაგრამ რადგან გაზი არ იყო, ცემენტის კედელს უშენებდნენ და ცეცხლიც ჰქრებოდა.

14 დეკემბერს დილით 360 მუშის ამოსვლის შემდეგ, ღამე სამუშაოდ 14 კაცი ჩავიდა. საღამოს რვა საათზე ცეცხლი გაჩნდა, ოთხი კაცი რომელიც ასასვლელ ელევატორთან ახლოს მუშაობდა ცეცხლის გაჩენის თანავე ზევით ამოსვლით თავს უშველეს, და ათი კაცი შიგ მოჰყვა და დაიღუპა. ცეცხლი ისე ძლიერი იყო რომ შვიდას ფუტის სიმაღლე შეფტას ამოსკიდა და ზევით მოწყობილი მანქანები დასწვა. ცეცხლის დროს გარშემოკრებილი ხალხი, დაღუპულთა ცოლები, მშობლები, დები და ძმები საზარელის ხმით ჰკივოდენ და ცეცხლში ჩასავარდნად იწევდნენ.

აღსანიშნავია ისიც რომ ამ კაპიტალისტებისთვის ყოვლად თავისუფალ ქვეყანაში არავითარი ცეცხლთან საბრძოლველი იარაღი არ აღმოჩნდა ახლოს, რომ ადამიანთა მსხვერპლისთვის რამე ეშველათ. ერთაი ამისთანა მაშინა, რომელიც მთავრობას ეკუთვნის (ქვა-ნახშირის და სხვა ბევრი მადნები კერძო პირებს ან კომპანიებს ეკუთვნის) ტრინიდადში იყო გაგზავნილი აქედან 230 მილზე. იმის აქედან აქ მოსვლას 24 საათი დააგვიანდა, და მანამდე ცეცხლმა თავისი ქნა. გამოცდილი პროფესორები ამბობდნენ: რადგან მადანს დიდი სივრცე აქვს შეიძლება შიგ დამწყვდეულები ცოცხლები იყვნენო, მაგრამ მოლოდინი არ გამართლდა. ცეცხლის დაკლების შემდეგ საცდელად, ზევიდან მადანში პატარა ჭვალიით კურდღელი (კურდღელი ადამიანზე მეტს უძლებს ცეცხლსა და გაზს) ჩაუშვეს, ცამეტი წუთის შემდეგ ამოიყვანეს და მოკვდა. ამნაირი ცდა რამდენჯერმე განმეორდა და როცა უკანასკნელი კურდღელი უვნებლად ამოვიდა, მაშინვე შიგ ჩაეშვენ, მაგრამ პირველად შორს ვერ წავიდნენ, რადგან ლამპამ არ გაანათა და ამასთანავე გაზით და კვამლით იყო სავსე ყველაფერი. ხუთი დღის შემდეგ აღმოაჩინეს 8 კაცის გვამი და 34 მკვდარი ჯორი, მაგრამ ორ ძმა მერიკების ნახვას 29 დეკემბრამდე ვერ ეღირსენ. ამ ორ ძმებს რომ გაეგოთ ცეცხლის გაჩენა, კირკებით გაქცეულიყვნენ. ცეცხლზე მოშორებით ამოეჭრათ მიწა და შიგ შემალულიყვნენ, მაგრამ ცეცხლის გაზის და კვამლის სიძლიერეს ველარ გაუძლეს 15 დღეს და მეთოთხმეტე დღეს მკვდარნი ამოიტანეს. ამ თოთხმეტი დღის განმავლობაში იმათი დედ-მამა მაღაროს კარს არ მოსცილებია.

ხალხი აქ ბევრნაირად იხოცება, მაგრამ აქაური თავისუფალი კაპიტალისტები და იმათი გაზეთები ხალხის ამნაირად ხოცვას გამოუცდელობას აძხიან და ამავე დროს გამოცდილ მუშების განსადევნად არავითარ ზომებს არ ერიდებიან.

ქ. დენვერი. **იოსებ ე. ლომაძე.**

ბოდა მათ: და აი, თავის ფირმის ერთ მუშას დღეს მან თავიც გადაატანა. 22 დეკემბერს ის მთვრალ მუშას შეჰხვედროდა და მისი ბინაზე გაცილება განეზრახა.

მუშა მართლაც მიეყვანა თავის ბინაზე, ამხანაგები მთვრალს სიცილ-ხარხარითა და ყვირილით შეხვედროდნენ. ბრაილოვსკის სწყენოდა ასეთი დაცინვა, ალელვებულიყო და ყვირილით გაეფრთხილებინა მუშები; რას ჩადიხართო! აღელვების დროს გული წასვლოდა და იქვე ხუთ წუთში გათავებულიყო.

მუშებმაც ღირსეულად დააფასეს თავიანთი გამგის წარსული ღვაწლი: სადგურამდე მიაცილეს ცხედარი, სიტყვები წარმოსთქვეს და ტფილისამდე დელეგატები გააყოლეს.

**დროელი.**

# ქუთაისის ამბები

— ქუთაისში, ეს ორი დღეა, გადაუღებლადა სთოვს და $1^{1}/_{2}$ ალლი თოვლი დასდო. თოვლის სიმძიმისაგან ბევრი სახლის სახურავი ჩაიმტვრა. ქალაქის გამგეობის თხოვნით, გუბერნატორმა განკარგულება მოახდინა, რომ 100 ჯარის კაცი გამოსულიყო ქალაქში სახლების სახურავების გადასათოვლად. სოფლებთან მისვლა-მოსვლა თითქმის შეწყვეტილია, რის გამო ძლიერ გაძვირდა სიმინდის ფქვილი, შეშა, ნახშირი, შინაური ფრინველები და სხ.

— ქუთაისის გუბერნიის ღარიბ სტუდენტთა დამხმარე საზოგადოების თავმჯდომარის ე. ნ. ხეჩინოვის თაოსნობით, 12 იანვრის, საზოგადო საკრებულოს დარბაზში გაიმართება დრამატიულ-მუსიკალურ-ვოკალური საღამო ხსენებულ საზოგადოების სამუალებათა გასაძლიერებლად. ეს ახალგაზრდა, არა მყვირალა, მაგრამ მეტად სიმპატიური და სასარგებლო საზოგადოება არა ერთსა და ორს ღარიბ სტუდენტს უწყობს ხელს, სრული იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ქუთაისის საზოგადოება ჩვეულებრივის თანაგრძნობით მიეგებება ამ საღამოს და თავისი წვლილის შეტანით ხელს შეუწყობს საზოგადოების ნივთიერ წარმატებას. ნუ დავივიწყებთ, ბატონებო, უცხო, ცივს ქვეყანაში სწავლის შესაძენად გადახვეწილს ჩვენს ახალ-გაზრდობას, რომელზედაც დამყარებულია ჩვენი ქვეყნის მომავალი ბედი! ბევრს მათგანს, იქნება, პურიც კი ენატრებოდა ახალ-წელს, იმ დროს როდესაც ჩვენ ბევრი გოზინაყისა და შაქარლამა-ტკბილეულობის ჭამით კბილები დაგველალა!

— 14 იანვარს, ქუთაისის თეატრში აპირებენ საიუბილეო წარმოდგენის გამართვას მდგომარე სეზონში ტფილისში მყოფი რუსული დასის ანტრეპრენიორის ვ. ნ. ნიკულინის 25 წლის მოღვაწეობის პატივსაცემლად. საკვირველია, ღმერთმანი! კაცმა რაღაც ორი-სამი წარმოდგენა გამართა ქუთაისში და ამიტომ იუბილეს აქ იხდის! ნეტა ასეთი რა ღვაწლი და სამსახური მიუძღვის ბ-ნს ნიკულინს ქუთაისის საზოგადოების წინაშე! საზოგადოების ამაზე მეტი აბუჩად და სამასხროდ აგდება განა შეიძლება? იმედია, ჩვენი „მცოდნე" საზოგადოება, რომელიც კოტე მესხის იუბილეს არ დასწრებია, ნიკულინის იუბილესთვის მაინც ბლომად შეინახავდა ფულებს და ამ „მოღვაწეს" მაინც ღირსეულ პატივსა სცემს.

**იხარი.**

# მოწერილი ამბები

**ოზურგეთი.** ადგილობრივ თვითმართველობის დარბაზში გრ. გიგინეიშვილმა 6 იანვარს წაიკითხა საჯარო ლექცია „კოოპერაციის და წვრილი კრედიტის დაწესებულებათა თაობაზე." ლექტორმა ახსნა კოოპერაცია სხვა და სხვა ტიპის კოოპერატიული დაწესებულებანი. აგრეთვე დიდი ყურადღება მიაქცია მან წვრილი დაწესებულებათა მნიშვნელობას სასოფლო მეურნეობისათვის, რომელთა მოწყობით შესაძლებელი იქნება სოფლის ხალხი გიხსნათ ჩარჩების და მევახშეებისაგანაო. საზოგადოებამ ლექცია დიდის ხალისით მოისმინა. როგორც გავიგეთ ბ. გიგინეიშვილს განუზრახავს ასეთი ლექციები წაიკითხოს სხვა ქალაქებში და დაბებში. მეტია იმაზე ლაპარაკი თუ რა მნიშვნელობა ექნება კოოპერატიულ დაწესებულებათა გაცნობას ჩვენი უპატრონოდ მიტოვებულ სოფ-

დებისთვის. საჭიროა უთველგან ადგილობრივმა ინტელიგენციამ ხელი შეუწყოს ასეთ დიდ მნიშვნელოვან საქმეს.

**ფ. დ.**

—

**ს. კარდანახი.** (სიღნაღის მაზრა) ამავე იანვარს ერთი შემთხვევა მოხდა. დილით გზაზე მიდიოდა გლეხი სულხანი მჭედლიშვილი. უეცრად გზაში შეეფეთა წყალობა არუთინოვი და ასტურ ასატუროვის მოჯამაგირე, რომლებიც ცხენებს მიაჭენებდნენ. ს. მჭედლიშვილმა გზიდან მოცლა ვერ მოასწრო, ცხენმა ფეხქვეშ გაიგდო და ისე ძალიან დაამტვრია, რომ ხუთის წუთის შემდეგ გარდაიცვალა. ასეთი შემთხვევა ბევრი ხდება და საკვირველია ყურადღებას არავინ აქცევს, შეიბურეს კიდევ არუთინოვის და ასატუროვის მოჯამაგირე, მაგრამ ქანქარს რა არ შეუძლიან.

**კარდანახელი**

# თეატრი და ხელოვნება

**ქუთაისი.** ჩვენს ცხოვრებაში თეატრმა თვალსაჩინო ადგილი დაიჭირა და ამიტომ არც გასაკვირველია თუ გაზეთის მიმომხილველი მას განსაკუთრებულ ყურადღებას აქცევს.

პრესაშიაც არა ერთხელ აღნიშნულა და თეატრში მოსიარულეთაგან ხშირად გამიგონია გოდება, რომ ქართულს ენას თეატრის ესტრადა ულმობელათ ეპყრობა და მის მაგივრად, რომ თეატრი აფაქიზებდეს, სწმენდეს ქართულს ენას ყოველ გვარი ჩეჩქისაგან, იგი თითქო ხელს უწყობს მის წახდენას.

თუ ეს ნაკლი აქამდის ასეთი საგრძნობელი არ იყო, ეს იმას უნდა მივაწეროთ, რომ უკანასკნელი ხანამდე ორიგინალური პიესების წერას და უცხო ენაზე დაწერილ დრამატიულ ნაწარმოებთა თარგმნას ცოტად თუ ბევრად ქართული ენის მცოდნენი მისდევდნენ. და თუ შეამჩნევდა კაცი ნაკლს ენის მხრივ, არც ისე თვალ საჩინო იყო. უკანასკნელ ხანებში პიესების თარგმანს ყველამ მოჰკიდა ხელი ენის მცოდნემაც და უცოდინარმაც და რადგან უკანასკნელთა რიცხვი დიდად ჭარბობს პირველებისას, თარგმნილი პიესების მოსმენა, თითო ოროლას გარდა, მართლა ძნელი საქმე შეიქნა. ხშირად ისეთი სიტყვები და ფრაზები გვსმენია სცენიდგან, რომ განმარტების შემდეგ თუ გაიგებს კაცი მის მნიშვნელობას, თორემ ქართულისა მათ არა სცხიათ-რა.

დიდი ხანია ვადევნებ ქართულ სცენას თვალს და რაც უკანასკნელ ხანებში, ხდება იმისი მსგავსი არა მინახავსრა და როცა ქუთაისის დასმა სცენაზე „მეფე-ლირი" დასდგა, მიუხედავათ იმისა, რომ შესრულების მხრივ წარმოდგენა სუსტი იყო, ქართული ენის სიკეთემ ბევრი მხრივ შეისყიდა მსახიობთა სისუსტე.

სუსტი ენით თარგმნილი პიესების დასახელება რომ მომთხოვოს ვინმემ, ეს იმისი ნიშანი იქნება, რომ უკანასკნელი 5-6 წლის განმავლობაში წარმოდგენილ პიესების უმეტესი ნაწილი ჩამოვთვალოთ. ეს არც საქმეს არგებდა და არც საინტერესო იქნებოდა ვისთვისმე.

ჩვენის აზრით ეს ნაკლულევანება ჩვენმა თეატრმა უთუოდ უნდა აიცილოს თავიდან. და ამის საშუალებით ჩვენ მიგვაჩნია შემდეგი: უპირველეს ყოვლისა, სარეპერტუაროდ განზრახულ უცხო ენაზე დაწერილ პიესები სეზონის დაწყების რამდენიმე თვის წინად უნდა დაურიგდეთ რიგიან მთარგმნელებს, რომ ისინი აუჩქარებლივ შეუდგნენ თარგმნას, თარგმანების სისუსტის უმთავრესი მიზეზი ის არის, რომ სეზონის მსვლელობის დროს აძლევენ ამა თუ იმ მთარგმნელს პიესას და აჩქარებენ, მალე მოგვაწოდე თარგმანიო, და რა გასაკვირველია, თუ სიჩქარეში კაცი დაკვირვებით არ გააკეთებს საქმეს.

ავად გადაითარგმნება თუ კარგად პიესა, მას დრამატიულ საზოგადოების მიერ დანიშნულ ენის მცოდნე კაცმა ენის მხრივ უნდა გადახედოს და თვალსაჩინო და უშვერი შეცდომები გაასწოროს, უიმისოდ რეპეტიციების დროს არავისა სცალია, ენა შეასწოროს ვინმემ. ხშირად ნაცადი საშუალება—ცალკე სარედაქციო კომისიის არჩევა, რამდენადაც ჩვენ ვიცით, გამოუსადეგარი აღმოჩნდა. კომისიები სახელით თუ არსებობდნენ, თორემ საქმით არაფერი გაუკეთებიათ-რა.

წინ და წინვე ვიცით, რომ დრამატიული საზოგადოებანი უსახსრობაზე მიგვითითებენ და გვეტყვიან—ავალდებულო დასის შესანახ ხარჯს ძლივს ვეწევით, სად შევძლებთ მუდმივ კორექტორის შენახვასო. სიღარიბე, რა თქმა უნდა, ყველა ჩვენ საქმეს ახლავს, მაგრამ არიან ისეთი შემთხვევები, როცა სიღარიბითაც ვერ მოიხდის ბოდიშს კაცი.

რად მინდა თეატრი, ან სხვა დაწესებულება, რომელიც ეროვნულ საქმეს ემსახურება, თუ უძვირფასესი საუნჯე ყოველი ერისა—ენა და მეტადრე ისეთისა, როგორიც ჩვენი ერია, გარყვნილებისა და გადაგვარების გზაზეა დამდგარი.

თუ თეატრი ქართულ საქმეს ემსახურება, პირველი მისი მოვალეობა—ენის სიფაქიზის დაცვაა და, ამიტომ, ჩვენის აზრით, არსებული სარეპერტუარო პიესების ენის შესწორება უპირველეს მოვალეობას უნდა შეადგენდეს ამ საქმის მეთაურისათვის. თუ ტფილისისა ან ქუთაისის დრამატიულ საზოგადოებისათვის ცალ-ცალკე ამ წინადადების განხორციელება მატერიალურად ძნელია, დაე შეერთდნენ საშუალებით და ერთმანეთის დახმარებით გასწმინდონ რეპერტუარი, ხოლო მომავლისათვის ყოველ დასისათვის მუდმივი კორექტორი პიესების ენის შესასწორებლად ისეთსავე სავალდებულო საქმედ უნდა ჩაითვალოს, როგორც, მაგალითად, რეჟისორია დასისათვის.

**ხვანი.**

# უცხოეთი

**„კამორრისტების" გასამართლება იტალიაში.**

მოკლე ხანში იტალიაში ფრიად საინტერესო პროცესი იწყება. სამართალში მიცემული არიან წევრნი „კამორრისა"—საიდუმლო საზოგადოებისა, რომლის ირგვლივ თავის დროზე ბევრს სწერდნენ და ლაპარაკობდნენ.

კამორრის დაარსება მე-17 საუკუნეს ეკუთვნის. მისი უმთავრესი შტაბი ნეაპოლშია, ხოლო შტოები მოდებულია მთელს შუა და სამხრეთ იტალიაში. ჰყავს რამდენიმე ასი ათასი წევრი, თავისი მთავრობა, აქვს თავისი სასამართლო, კანონები და ადმინისტრაცია. კამორრა—ეს სახელმწიფოა სახელმწიფოში. უმთავრეს მის წყაროს გადასახადები შეადგენს, რომელსაც აშკარად ახდევინებენ ხალხს. მთავრობამ დღემდე ვერ გაბედა შებრძოლებოდა ამ ორგანიზაციას. ამ ჟამად კამორრისტები სამართალში იმის გამო მისცეს, რომ ორი თავისი წევრი მოჰკლეს—ცოლ-ქმარი კუოკოლოები, რომელთაც მაბეზღრობას აბრალებდნენ. სამართალში მიცემულნი არიან მხოლოდ უმთავრესი მონაწილენი მკვლელობის—31 კაცი: მთელს პარტიას, რასაკვირველია, ვერ გაუბედავენ დევნას, რადგან იგი მეტად მრავალ-რიცხოვანი და გავლენიანია.

საყურადღებოა აქ კიდევ ერთი ფაქტი: როდესაც სწყვეტდნენ საკითხს, სად გაესამართლებინათ ბრალდებულნი ყველა ქალაქის მცხოვრები იმას სცდილობდა, ეს პატივი მათს ქალაქს რგებოდა. პატარა ქალაქმა ვიტერბომაც მისცა მთავრობას პეტიცია ამ გვარის შინაარსის: ჩვენი ქალაქის ხალხი ღარიბია, მრეწველობა განვითარებული არ არის და კამორრისტების გასამართლება ჩვენში კი შეუწყობდა ხელს ქალაქის ეკონომიურ წარმატებას რადგან ეს პროცესი ჩვენს ქალაქში დიდძალს ხალხს მოიზიდავსო. მთავრობამ ეს თხოვნა დააკმაყოფილა. ამ დღეებში ყველა ბრალდებულნი ნეაპოლიდან ვიტერბოში გადაიყვანეს. იქ ხალხიც ბლომად მიაწყდა და პატარა ქალაქი იმდენად გამოცოცხლდა, რომ პოლიციის შტატი ერთი-ორად გაადიდეს.

**დირიჟაბლები და აეროპლანები ომიანობის დროს.**

ამ ჟამად ავიაცია მეტად განვითარდა. აეროპლანები და დირიჟაბლები დღეს თუ ხვალ უმთავრეს სამხედრო იარაღად უნდა გადაიქცნენ. ამის გამო შეერთებულ შტატების მთავრობამ, რომელიც მუდამ მომხრეა საერთაშორისო მშვიდობიანობისა, გადასწყვიტა, წინადადება მისცეს სახელმწიფოებს, რომ ჰაერო ბრძოლის იარაღად არ გადაიქციონ. როგორც ამბობენ, იტალიას პრინციპიალურად უკვე მოსწონებია ეს აზრი და შტატებისათვის მხარის დაჭერა გადაუწყვეტია. ამას კი დიდი მნიშვნელობა აქვს, იტალია სამთა კავშირს ეკუთვნის. ამის და მიუხედავად მაინც საეჭვოა, რომ შეერთებულ შტატების აზრი განხორციელდეს, რადგან საფრანგეთი დიდი წინააღმდეგია ამ წინადადებისა.

ამერიკა ასე მსჯელობს: ჩვენ წინააღმდეგნი ვიყავით წინადაც იარაღისა, მაგრამ საწადელს ვერ მივაღწიეთ; ახლა მაინც დავჯერდეთ ძველ საშუალებათ ერთმანეთის ამოჟლეტისას და პროგრესის გამოგონებას კულტურისა და ჰუმანიზმის საწინააღმდეგოდ ნუ მოვიხმართო.

ამაზე საფრანგეთი უპასუხებს: ეს აზრი ცხოვრებაში ძნელი განსახორციელებელია, რადგან შეუძლებელია კაცმა კონტროლი გაუწიოს, მიმართავ თუ არა ამ საშუალებას მტერმა თავდაცემის დროს და უფრო სწორე იქმნება, გვიფიქრია, რომ რამდენადაც საზარელი იქმნება ომი, იმდენად განათლებული ერები ნაკლებად მიმართავენ ამ საშუალებასო.

ასეა თუ ისე შეერთებულ შტატების წინადადებას წინ ბევრი დაბრკოლება ელოდება და მის განხორციელების იმედი ძლიერ ნაკლებად აქვს.

**კრიტის მდგომარეობა.**

ათინის წყაროებიდან იუწყებიან, საქმეთა ვითარებას კრიტოსზე უფრო ის ამწვავებს, რომ მუსულმანები, რომლითაც, ალბად, სტამბოლიდან აქეზებენ, მეტად ამაღელვებლად იქცევიან. კანის მუფტიმ რელიგიურ საუბარზე მუსულმანები მოიწვია. შეიკრიბა 400 კაცზე მეტი. საუბრის მაგივრად მუფტიმ მოციქულის სახელით ჰკითხა ხალხს: მეგობრობას რად იჭერთ „ქრისტიან ძაღლებთან"; „გიაურებთან" ფულს რად ჰხარჯავთ დუქნებში, როდესაც ეს არც პატრიოტულია და არც ყურანს ეთანხმებაო; ყოველი გროში საჭიროა ოსმალეთის ფლოტისათვის. „იცოდეთ—სთქვა ბოლოს—რომ დღითი-დღე ოსმალეთის საქმე წინ მიდის, ქრისტიანებისა კი—უკან. ის ფლოტი რომელზედაც მე გამბობ, ჩქარა აქ გაჩნდება და ქრისტიანეთათვის უკანასკნელი საათი ჩამოჰკრავს".

# განცხადებანი


## ქალის 3 პერანგი
### 3 მანეთად

თხელის თეთრეულის, გამძლე ტილოსაგან შეკერილი, მოქარგული ბადიანის არშიებით. საუცხოვო, მშვენიერი, ახალის ფასონისა. აგრეთვე ვგზავნით მამაკაცთა 3 პერანგსა თუ შემდეგს იმავე ტილოსას—3 მანეთად. იგზავნება უბეოდ, ფასდადებით. გასაგზავნს გადაიხდით 75 კ. ციმბირში გასაგზავნი ფასი წონის მიხედვით ვინც 6 ცალს გამოიწერს გასაგზავნ ფულს არ იხდის.

ადრესი: А. Кивману, Лодзь N 18. Метцль 2710. (4—27—1)

სპეციალური
## სამკურნალო
ქანისა, ვენერიულის და ათაშანგის სნეულებათა.

ველიკოკნიაჟეს ქ. N 9, ვარანცოვის ძეგლის მახლობლად.

ავადმყოფებს ყოველ დღე მიიღებენ ექიმები გ. ა. გედალინი და ი. მ. ზაბლუდოვსკი 1—5 საათამდე და საღ. 7 ნახ.—8 ნახ. მანდილოსანთა და ბავშვთა მიღება 4—5 საათამდე, ანალიზები, შეხვევა, ძიმათა მოსამზადებელთა და მუმათა შემოწმება.

შესვლის ფასი—40 კ. კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

ერლიხ-ხატას პრეპარატით 606 წამლობა, ელექტრონით წერილი. (0—6—6)

მიმდინარე წლის 30 დეკემბრიდან
გაიხსნა
მუხრანსკის ახალი ხიდთან
## სამკურნალო
მუდმივის საწოლებით.

Тифлисъ—Песковская ул., 9. и 48 Цициановскаго подъема, противъ новаго (Мухранскаго) моста. Телефонъ N 370.

ავადმყოფებს ყოველ დღე სპეციალისტი ექიმები მიიღებენ.

ნ. მ. ასპიზოვი—(მედ. ექ.), ყურისა, ცხვირ. და ყელის სნეულ. 11—12 საათ.

გ. ა. ახვერდოვი—(მედიც. ექ.), ათაშანგ., ვენერიულ და კანის სნეულ. 1 ნახ. 2 ნახევარ საათამდე.

ა. ა. გაზაზოვი—შინაგან სნეულებან. დილის 10—11 საათ.

ტ. ი. გეორგ-ბეგაიანი—(მედ. ექ.), თვალის სნეულ. (ორშ., ოთხშ. და პარასკევობით), დილ. 8 ნახ. 9 ნახ. საათ.

ქ. ა. გონიევი—ბავშვთა სნეულ. (სამშ., ხუთშ. და შაბ.) 1 ნახ. 2 საათამდე.

ა. ი. გრიგორიანი—ქირურგიულ სნეულ. დილ. 11—12 საათ.

ი. გ. კალამკაროვი—დედათა სნეულ. 1—2 საათამდე.

ა. ი. კატანიან—(მედ. ექ.), შინაგან სნეულ. 12—1 ს.

მ. დ. კილოსანიძე—ქირურგ. სნეულ. (სამშ., ხუთშ. და პარასკ.) 12 ნახ. 1 ს.

გ. ა. მელკონიანი—ქირურგ. სნეულ. 5—6 ს.

ტ. ნ. ტერ-ნერსესოვი—ქირურგ. სნეულ. (ორშ., ოთხშ., შაბ.), 1 ნახ.—2 ს.

ათაშანგის წამლობა ერლიხ-ხატას პრეპარატით (606 (Ehrlich-Hata 660).

დარიგების ფასი—50 კ. სტაციონალური ექიმობისთვის 3—5 მანეთამდე, ოპერაციები, შეხვევა, კონსულტაცია და სხვ. მორიგებით.

სამკურნალოს გამგე ექ. ა. ი. გრიგორიანი. № 646. 100—5 (0—5—6)

## დოქტ. ნავასარდიანისა
ყოველ დღე, კვირეებს გარდა
დაარსებულია 1880 წელს.
(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

დილით:

ბ. ა. ნავასარდიანი: 11—12 ს. ქირურგიული, ვენერიული (სიფილ.) ავად.

ყ. მ. ჩიქოვანი: $9^{1}/_{2}$—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

ზ. ი. ბაბანასოვი: 10—11 ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ნ. ტ. მულინი: 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

მ. გ. ავეტისიანცი: 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

ა. მ. პუგინოვი. 12—1 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

ა. პ. კარაპეტიანცი: 1—$1^{1}/_{2}$ ს. შინაგან· და საბავშვო.

ბ. გ. აგასაროვი: $1^{1}/_{2}$—2 ს. შინაგ- და ბავშვთა ავად.

საღამოთი:

ქალ. ექ. პ. ს. ზილბერმანცი: 6—6 ს საზებ., ქალ. და ბავშ. ავად.

ო. მ. მელიქსეთ-ენგელი: 6—$6^{1}/_{2}$ ს. საზებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

ი. ფ. მარცინკევიჩი: 6—7 ს. შინაგანი, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

რჩევა 50 კაპ. ღარიბებს უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი მედიც. დოქტორი ბ. ა. ნავასარდიანი.

ვ. ყიფიანის დრამა
## სამეგრელოს მთავარი ლევან
ისტორიული დრამა 5 მოქმედებად
გამოცემა გაზ. „დროების" რედაქციისა და კ. მესხიევისა
ფასი ორი აბაზი

იყიდება „სახ. გაზ." რედაქციაში და წერა-კითხვის საზოგადოების წიგნის მაღაზიაში.

## სინჯეთ და დარწმუნდით!
ინგლისის ქარხნის საპნით ნარეცხი თეთრეული.

ჰსინჯეთ და პირადად დარწმუნდებით, რომ ინგლისური ქარხანა კლინბლ ლიმიტედის ● ვაშენეს ● საპნით გარეცხილ თეთრეულს $1^{1}/_{2}$—2 წლის მაგიერ 6—8 წელიწადს ატარებთ.

იგი სრულიად უვნებელია და უმანქანოდ, ხელების გაუფუჭებლად 15 წუთში გარეცხავთ თეთრეულს.

სიყალბის თავიდან ასაცილებლად, გთხოვთ ყურადღება მიაქციოთ მთავრობის მიერ დასტამბულ მარკას № 10499—12752.

მთავარი წარმომადგენელი ვიქტორ ზატკალიკი,
შიდა-კავკასიის წარმომადგენელი ზ. ნ. ხრხრიანცი
და ტ. ზ. ბახშინოვი.

С.-Петерб., Ст. Больш. пр., № 92.
(15—322—8) Тифлисъ, Елизаветинская, № 192.

ერთად-ერთი თევზეულობის საწყობი ფითილების მრეწველობას

## საღიანის თევზთ მრეწველ და მოვაჭრეთ ძმ. ძეგველოვების მაღაზიას
პუშკინის ქ., სახლი № 9, ტელეფონი № 712,
ყოველ დღე განუწყვეტლივ მოდის
## ახალ-ახალი
ოსეტრინა (ზუთხი) და სევრიუგა (ტარაღანა).
## ხიზილალა
ახალი (Зернистая).
პარკისა და კოლოფებით
საუკეთესო დოშები და ზურგიელები
იღებულია დვინის ორაგული (სიომგა)

მივიღეთ საუკეთესო პაისუნი ხიზილალა გირვანქა 1 მან და წითელი ხიზილალა (Кетовая). 50 კ. 60 კ. გირ

აგრე მივიღეთ დიდი პარტია ყოველნაირი კონსერვები. (ზ—128—76)

საუკეთესო წითელი ხიზილალა (Кетовая)

ერთად-ერთი საწყობი ფითილების მრეწველობისა.

## გაფრთხილება
### ვინც იტანჯება

ნერვების სისუსტით, სქესობრივ უღონობით, მოხუცებულობის დაჩამჩამებით, სევდის ქარით, სასხლნაკლებობით, პლექით, ათაშანგით, ვარდის წყლით წამლობის შედეგებით, გულის სნეულებით (გულის ქონით, გულის ფრიალი, გულის სისუსტე და სხვა) ძარღვების დადუნებით, ალკოჰოლიზმით, ხერხემლის გახმობით, სიდამბლით, სნეულებათაგან წარმოშობილ სისუსტით, დაქანცულობით და სხვა.

გასასყიდად გავრცელდა მრავალი იაფ-ფასიანი და ჯანმრთელობისათვის მავნებელი, ჩვენის სპერმინის მიბაძულებანი, რომელსაც ნაირ-ნაირ სპერმინის სახელით ასაღებენ და სნეულთა შეცდომაში შესაყვანად ამ ყალბ წამლების მკეთებელნი წამალთან ერთად უგზავნიან ექიმებისაგან დადასტურებულ ჩვენის სპერმინ-პელის რეკლამას, და თავის წამლის რეკლამად ასაღებენ. ამისათვის ჩვენს მოვალეობად ვთვლით ჩვენის სპერმინის მხმარებელნი გავაფრთხილოთ. ყველა მოწონების წერილები, ექიმთა და მეცნიერთა დამოწმებანი, რაც კი რამ იბეჭდება სპერმინის სიკარგეზე, ჩვენ სპერმინზე ნათქვამი, რომელსაც ეწოდება „სპერმინ-პელა" ყველა დანარჩენი საშუალებანი მხოლოდ უვარგისო მიბაძვაა ჩვენის ფირმის მიერ დამზადებულ სპერმინ-პელისი და მათი მარგებლობაც არავითარ შემთხვევაში ჩვენს წამლებს ვერ შეედრება. ერთად-ერთი, ნამდვილი სპერმინი ჩვენი სპერმინ-პელაა—თითო შუშა 3 მანათ. ✦ მსურველთ უფასოდ ეგზავნებათ სპერმინის თაობაზე აუარებელი ლიტერატურა. ✦

органотерапевтическій институтъ. профессоръ докторъ ПЕЛЬ и С.-вья.
Поставщики Двора Его Императорскаго Величества.—С.-Петербургъ. В. О., 7 лин. 18.

## აცალე მყოფებს

(Метцль и К-о. № 1229). (8—26—1)


სტამბა „ორიონი" ... № 539.

რედაქტორ-გამომცემელი ილარიონ სონღულაშვილი.